სარბიელი

სპორტული გაზეთი სამშაბათი 20 მაისი 2008 №113 (3337) ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვისთვის ძლივს, ვისთვის, ნეტავ, არა

დღეს უმაღლესი ლიგის ბოლო ტურია

დღეს საქართველოს საფეხბურთო ჩემპიონატში მე-19 სეზონი მთავარდება.

კარგი კი იქნებოდა, ბოლო ტური უშეღავათო და დაძაბული ყოფილიყო, მაგრამ ცხრილს რომ ჩახედავთ, ადვილად მიხვდებით, რომ მაინცდამაინც დიდ ბრძოლებს არ უნდა ველოდოთ.

რაღა დარჩა გასარკვევი? ერთადერთი კითხვა: ვინ შეხვდება პლეი ოფში „გაგრას“ — „ლოკომოტივი“ თუ ცხინვალის „სპარტაკი“? ოღონდ იმასაც ვეჭვობთ, უმაღლესი ლიგიდან უკვე გავარდნილმა ბათუმელებმა მედგარი წინააღმდეგობა გაუწიონ რკინიგზელებს, სხვაგვარად კი „სპარტაკის“ უპლეიოფოდ გადარჩენა შეუძლებელია.

ერთი სიტყვით, დღევანდელი მატჩები, მერე 24 მაისის პლეი ოფი და, ახალი სეზონისთვის მზადების დროც მოვა. მოსამზადებელი და საფიქრალი კი იცოცხლეთ, იმდენია. რა თქმა უნდა, კარგი ჩემპიონატი თუ გვინდა რომ გვქონდეს...

ხოლო როგორ წარმოგვიდგენია უკეთესი ჩემპიონატი, ამაზე სალაპარაკოდ, დრო ორ თვეზე მეტი გვაქვს.

მწვრთნელამდე იქნება სეგრტი

ფოლკერ ფინკე და მორტენ ოლსენი ევროპამ გადაავადა



ბრანკო ივანკოვიჩის უარის მერე ეროვნული ნაკრების მწვრთნელობის ყველაზე რეალურ კანდიდატად მიჩნეულ ფოლკერ ფინკეს საქართველოში ჩამოსვლა შესაძლოა, გამოირიცხოს. „ფრაიბურგის“ ყოფილ მწვრთნელს ერთ შვეიცარიულ ტელეკომპანიასთან ევროპის ჩემპიონატის დასრულებამდე აქვს კონტრაქტი.

კიდევ ერთი კანდიდატი მორტენ ოლსენიც ევროპის ჩემპიონატის დასრულებას ელოდება. თანაც ოლსენი კლაუს ტოპმიოლერზე „ძვირია“. ვარიანტები ვარიანტებად და, ესტონეთ-პორტუგალიასთან კარსმომდგარ მატჩებში საქართველოს ნაკრებს ახალგაზრდული ნაკრების ხორვატი მწვრთნელი პეტარ სეგრტი გაუძღვება. ეს ამბავი უკვე საბოლოოდ დადასტურდა და დღეს სეგრტი ამ ამხანაგური მატჩებისთვის გამოძახებულთა სიასაც გამოამზეურებს. შეგახსენებთ, რომ გაფართოებულ სანაკრებო სიაში 50 კანდიდატია, რომელთაგან დღეს 22 ფეხბურთელი დარჩება.

წააქცია და დაარტყა!

ხელით ბურთის თამაშში ფეხი და წიხლი გამოჩნდა

გიორგი კეცელიძის ფოტო

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ხელბურთელთა გუნდი საქართველოს ჩემპიონია! თუმცა ვეჭვობთ, ჩვენი ხელბურთის შემყურეთ საქმე საზეიმოდ გვქონდეს...

გუშინდელი ფინალური მატჩი მაშინ შეწყდა, თამაშის დასრულებას წუთი და 17 წამი რომ უკლდა. სტუდენტთა მეტოქე „თბილისს“ ამ მცირე დროში ჩემპიონობისთვის 6 გოლის გატანა სჭირდებოდა და მატჩი რომც არ ჩაშლილიყო, წარმოუდგენელია, ამდენის გატანა მოეხერხებინა. თამაშიც ისეთი იყო, სტუ მოგებას არ იმსახურებდაო, ვერ ვიტყვით.

თამაში კი დიდი ჩხუბით ჩაიშალა. ზოგადად, სპორტულ მოედანზე ამტყდარ ჩხუბზე რომ ვლაპარაკობთ, კინკლაობას და გაწევ-გამოწევას ვგულისხმობთ-ხოლმე.

არა, გუშინ ნაღდი ჩხუბი იყო, წაქცეულისთვის წიხლის რტყმის ჩათვლით. ხოლო წიხლაობა რომ მორჩა, სტუდენტები ჩემპიონად გამოაცხადეს და თასი გადასცეს.

უბედურება კი ის არის, ფინალი აყალმაყალის გარეშე რომ ჩამთავრდებოდა, წინასწარვე მისახვედრი იყო — თბილისელებს ეჭვი ჰქონდათ, რომ სტუს ერთ მოთამაშეს ფინალში თამაშის უფლება არ ჰქონდა და როგორც თავადვე ამბობენ, ეს ეჭვი ვერავინ გაუქარწყლა...

ცხადია, ეს ამბავი „თბილისს“ ჩხუბის წამოწყებისთვის პასუხისმგებლობისგან ვერ გაანთავისუფლებს, მაგრამ ორგანიზატორთა არაორგანიზებულობაზეც, ვფიქრობთ, მიგვანიშნებს...

ამ თემაზე საუბარს „სარბიელი“ აუცილებლად მიუბრუნდება.

დღეს სეგრტი ნაკრებს იტყვის

საქართველოს ორმატჩიანი თავი ამოუვიდა



კადრი კინოლენტიდან „ფუტი"

მოხდა ის, რასაც ველოდით. შანსი იმისა, რომ 27 და 31 მაისის ამხანაგურ მატჩებში საქართველოს ნაკრები ახალმა, ოფიციალურად დანიშნულმა მწვრთნელმა დამოძღვროს, თითქმის ნულის ტოლია. სავარაუდოდ, ამ შეხვედრებისთვის მწვრთნელის სახელი უკვე ცნობილი იქნება, თუმცა ესტონეთ-პორტუგალიასთან ნაკრებს ხორვატი პეტარ სეგრტი გაწვრთნის.

დღეს სეგრტი საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში პრესკონფერენციას გამართავს და ესტონეთ-პორტუგალიასთან სათამაშო შემადგენლობასაც გამოაცხადებს. გაფართოებულ სიაში 50-მდე ფეხბურთელი ჰყავდა ხორვატ სპეციალისტს, დღეს კი, ალბათ, გაცხრილულ შემადგენლობას გამოამზეურებს.

ჩვენი ინფორმაციით, სიაში რამდენიმე ისეთი ფეხბურთელი იქნება, რომლებსაც ან კარგა ხანია, ან საერთოდ არ ჩაუცვამთ ეროვნული ნაკრების მაისურა.

ამასობაში კი, სანამ სეგრტი ჩრდილოეთ და სამხრეთ ევროპაში გუნდის წასაყვანად ემზადება, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ნოდარ ახალკაცი და ვიცე-პრეზიდენტი რევაზ არველაძე გერმანიაში არიან — გუშინ ისინი „ფრაიბურგის" ექსთავკაც ფოლკერ ფინკეს უნდა შეხვედროდნენ საქართველოს ნაკრებში გამწვრთნელებაზე მოსალაპარაკებლად.

ფედერაციის სამწვრთნელო სიაში დანიელი მორტენ ოლსენიცაა, თუმც, როგორც ჩანს, არც ამ საქმიდან გამოვა რამე.

ილია ნანოგაშვილი

„ფრაიბურგში" სეზონჩავარდნილი ოთარ ხიზანეიშვილი,

შესაძლოა, თურქულ „ქაისერში" გადავიდეს. „ქაისერი" თურქეთის ახლახან დასრულებულ ჩემპიონატში მეხუთე ადგილზე გავიდა, შარშან უეფას თასზეც ითამაშა და ურიგო ვარიანტი არ უნდა იყოს ხიზანეიშვილისთვის. მით უმეტეს, რომ 26 წლის ქართველმა მცველმა მეორე ბუნდესლიგის გასულ სეზონში მხოლოდ 8 წუთი ითამაშა. არადა, ოთარი „ფრაის" ისტორიაში ყველაზე ძვირად შეძენილი ფეხბურთელია, მაგრამ ცალკე ტრავმებმა გატანჯა, ცალკე გუნდის თავკაც რობინ დუტთან გაუფუჭდა ურთიერთობა. „ფრაიბურგის" ფანები ყოველთვის „ხიზას" მხარეს იჭერდნენ — გასაკვირია, ასეთი ფეხბურთელი სკამზე დასვა და უნიჭო მცველები ათამაშოო. ოთარს გუშინ შევეხმიანეთ...

ოთარ ხიზანეიშვილს ქაისერი ეპატიჟება

ფეხბურთის თამაში მინდა

— დიახ, „ქაისერისგან" დაინტერესება არის. მას შარშანაც სურდა ჩემი გადაყვანა, მაგრამ „ფრაიბურგიდან" არ გამიშვეს.

— შეიძლება ჩავთვალოთ, რომ „ქაისერში" უეჭველად გადახვალ?

— ჯერ არა. ორ დღეში ზუსტად მეცოდინება. მხოლოდ ისაა ცნობილი, რომ „ფრაიბურგიდან" წავედი, აქ კონტრაქტი დამიმთავრდა.

— სხვა გუნდებიდანაც გაქვს შემოთავაზება?

— დიახ, გერმანიის ორი გუნდის ვარიანტია — ბუნდესლიგის და მეორე ბუნდესლიგის კლუბებია.

— შენ გერმანიაში გსურს დარჩენა თუ უფრო სხვაგან მიგიწევს გული?

— ფეხბურთის თამაში მინდა — ჩემთვის ახლა ესაა მთავარი. ბევრი გამიცდა, ამიტომაც ახალი ენერგიით უნდა დავიწყო თამაში.

შეგახსენებთ, „ქაისერში" ორიოდ თვის წინ „ამერის" მეგოლე დიმიტრი ტატანაშვილიც იყო. ასე ვთქვათ, გაცნობითი ხასიათის შეხვედრა ჰქონდათ „ქაისერს" და ტატანაშვილს. ჩვენიანმა იქ რამდენჯერმე ივარჯიშა და არ არის გამორიცხული, ამ ზაფხულს კიდევ ჩააკითხოს გუნდს.

ილია ნანოგაშვილი

პორტუგალია — საქართველო: ფაფუ, ბილეთები

31 მაისს პორტუგალია — საქართველოს ამხანაგური მატჩი ჩვენი დროით, 21 საათსა და 15 წუთზე დაიწყება. საინტერესოა, რომ ამ შეხვედრისთვის ყველა ბილეთი გაყიდულია — არცაა გასაკვირი, ლუიშ ფელიპე სკოლარის გუნდი ხომ ერთ-ერთი ფავორიტის რანგში მიდის შვეიცარია-ავსტრიაში გასამართ ევროპის ჩემპიონატზე და თანაც, გეცოდინებათ, პორტუგალიისთვის ეს ბოლო მატჩია ევრო-2008-მდე. 1 ივნისს ისინი უკვე შვეიცარიის ქალაქ ნოიშატელში მიემგზავრებიან.



პორტუგალია — საქართველო ქალაქ ვიზეუს „ესტადიო დო ფონტელოზე" გაიმართება, რომელიც 14 800 მაყურებელს იტევს.

სკოლარის გუნდი შვეიცარიაში გამგზავრებამდე ვიზეუს არ გასცდება — შეკრებას იქ გაივლიან.

ილია ნანოგაშვილი

დავით კვირკველია მცველთა თავშია

რუსეთის ჩემპიონატში პაუზაა და ჯერჯერობით იქ მოთამაშე ქართველთაგან თავის გამოჩენა ყველაზე მეტად დავით კვირკველიამ მოახერხა.

ჩვენებურის ყაზანის „რუბინი" შესვენებას პირველ ადგილზე ხვდება და ეგებ, კონკურენტებთან სხვაობა უფრო დიდიც ჰქონოდა, ბოლო ტურებში დაუგეგმავი ქულები რომ არ დაეკარგა.

ამ ჩაგდებულმა თამაშებმა ფეხბურთელების საშუალო მაჩვენებლებზეც იმოქმედა და კვირკველიას პირად შედეგებზეც.

„სპორტ-ექსპრესის" ვერსიით, მისი საშუალო შეფასება 5,59 ქულაა, თუმც ეს სულაც არ უშლის ხელს, მარცხენა მცველების პოზიციაზე პირველ ადგილზე იყოს. სამაგიეროდ, ქულების დაკლებამ სეზონის ახალწვეულებისა და უცხოელი მოთამაშეების ნომინაციებში საუკეთესო ხუთეულს მიღმა დატოვა.

მიხეილ ჟორჟოლიანი

უარიც და არ შემიძლიაც

ვინ ითამაშებს ინტერტოტოზე?

ასეთებიც ხდება — ინგლისის თუ გერმანიის მეექვსე-მეშვიდე გუნდები ინტერტოტოს თასის გათამაშებაში მონაწილეობენ, საქართველოდან კი, შეიძლება, იგივე პატივი მერვე ან სულაც მეცხრე გუნდს ერგოს.

საქმე ისაა, რომ თბილისის „ამერმა" და რუსთავის „ოლიმპმა" უარი განაცხადეს ამ გათამაშებაში მონაწილეობაზე. ამის მერე, წესით, საგზური მეექვსეადგილოსან ახალციხის „მესხეთს" ეკუთვნოდა, მაგრამ მესხებს ლიცენზირება არ აქვთ გავლილი და მათი თამაში ავტომატურად გამოირიცხა.

იგივე მდგომარეობაშია ზუგდიდის „მგლებიც", რომელსაც შანსი აქვს, „მესხეთის" მომდევნო ადგილი დაიკავოს. მათ შემდეგ კი „ბორჯომი" და „სიონია", რომელთაც ლიცენზია კი აქვთ, მაგრამ ჯერჯერობით თავს იკავებენ.

მოკლედ, ყველაფერი უახლოეს დღეებში გადაწყდება. ქვეყანამ გუნდი უნდა წარადგინოს, რადგან კალენდარი უკვე შედგენილია...

მიხეილ ჟორჟოლიანი

ამხანაგური მატჩი
საბერძნეთი 2:0 კვიპროსი

სლოვენია
I ლიგა. XXIV ტური
ინტერგლოკი 2:3 დომჟალე

ნორვეგია
ტიპელიგა. VII ტური
ჰამ კამი 1:1 სტრიომსგოდსეტი

ფინეთი
ვეიკაუსლიგა. VI ტური
ჰიკ 5:1 ტამპერე

ისლანდია
I დივიზიონი
III ტური
ფილკირი 2:0 ვალიური
კოპავოგური 1:2 კეფლავიკი
თროტური 4:4 ჰაფნარფიორდური
გრინდავიკი 0:1 ფიოლნირი

შოტლანდია
პრემიერლიგა
გადადებული მატჩი
სენტ მირენი 0:3 რეინჯერსი

საქართველოს უმაღლესი ლიგა 19 ჩემპიონატი

II წრე. 26 ტური

უჩა ლობჟანიძის „ზესტაფონი“ გიორგი დეკანოსიძის „ამერს“ დაუხვდება

ბაფარი ჯალილაძის ფოტო

რუსთავი. 20 მაისი. 17 საათი. ფოლადი

ოლიმპი — სპარტაკი

მსაჯები: ა. კრიჭაშვილი, მ. ელიკაშვილი, ი. უკლება, ლ. ფანიაშვილი

ზესტაფონი. 20 მაისი. 17 საათი. ცენტრალური

ზესტაფონი — ამერი

მსაჯები: გ. კიკაჩეიშვილი, კ. ბერაძე, ზ. ერქვანია, კ. ჭაჭუა

ზუგდიდი. 20 მაისი. 17 საათი. ბ. თუთბერიძე

მგლები — ბორჯომი

მსაჯები: მ. ბეუქლიშვილი, ს. სპიცინი, კ. გუდურაშვილი, ჯ. ბუიშვილი

თბილისი. 20 მაისი. 17 საათი. მ. მესხი

ლოკომოტივი — ბათუმი

მსაჯები: ლ. სილაგავა, ზ. მენთეშაშვილი, გ. ჩიგოგიძე, დ. ხარიტონაშვილი

გორი. 20 მაისი. 17 საათი. თ. ბურჯანაძე

დილა — დინამო

მსაჯები: ბ. დოგრაშვილი, ი. მაჩიტიძე, ი. კაკაბაძე, მ. ურუშაძე

ბოლნისი. 20 მაისი. 17 საათი. თ. სტეფანია

სიონი — მერანი

მსაჯები: ო. ხეცაძე, ზ. ჯვარიძე, ბ. ჭიჭინაძე, გ. ვადაჭკორია

ახალციხე. 20 მაისი. 17 საათი. მ. იაძე

მესხეთი — ვიტ ჯორჯია

მსაჯები: ლ. კვარაცხელია, ლ. მიქელაძე, ა. კოკაია, ხ. გაგნიძე

ჩემპიონატი ბევრით აჩაფრით მთავრდება

ვინ დარჩება აუტის ზონაში?

დღევანდელი დღეც და, საქართველოს მე-19 ეროვნული ჩემპიონატი ქუდს დაიხურავს. ბოლო ტურის ყველა მატჩი ერთ დღეს და ერთ დროს იმართება. ეს ყველაფერი მართებულია, მაგრამ უკეთესი იქნებოდა, ბოლო ტურში ბევრი რამ წყდებოდეს, რასაც ამჯერად ნამდვილად ვერ ვიტყვით — ცნობილია ჩემპიონიც და პრიზიორებიც, ცნობილია, ვინ დატოვებს უმაღლეს ლიგას... გასარკვევია მხოლოდ ერთი რამ — ვინ შეხვდება პლეი აუტში პირველლიგელ „გაგრას“: თბილისის „ლოკომოტივი“ თუ ცხინვალის „სპარტაკი“?

სავარაუდოდ, გაგრელთა მეტოქე „სპარტაკი“ უნდა იყოს, რადგან „ლოკომოტივი“ უკვე გავარდნილ „ბათუმს“ მასპინძლობს და მოგება არ უნდა გაუჭირდეს. მით უფრო, რომ ვაკელები ბოლო ტურებში კარგად ათამაშდნენ და საშიშ ზონას რატი ალექსიძის, ვიტალი დარასელიასა და ლევან ცქიტიშვილის შემატების წყალობით დაუსხლტნენ. ამ სამეულს და მათ თანაგუნდელებს ზღვისპირელთა დამარცხების ძალა შესწევთ, მით უფრო, რომ უკვე ქვედალიგელი „ბათუმი“ ადგილობრივ ახალგაზრდებს გამოცდის.

„ბათუმის“ ქვედალიგელობა ვახსენეთ და, ზღვისპირელები ხავსს ჯერ კიდევ ეჭიდებიან, ხავსი კი საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაა, სადაც მინიშნებით ითქვა, მოფულღონიერებული „ბათუმი“ ეგებ უმაღლესში დარჩესო.

„ლოკომოტივის“ კონკურენტ „სპარტაკს“ კი შედარებით რთული მატჩი აქვს რუსთავში „ოლიმპთან“. კობა ჟორჟიკაშვილის შეგირდებს უცილობელი მოგება სჭირდებათ, რაც იოლი მისაღწევი არ იქნება. ერთი შეხედვით უმოტივაციო „ოლიმპს“ მეოთხე ადგილის შენარჩუნება სურს და თუ კლასსაც გავითვალისწინებთ, მასპინძლები უპირობო ფავორიტები ჩანან.

ამ მატჩს მედიაკომპანია „კოლხიდა“ პირდაპირ ეთერში „მზეზე“ შემოგვთავაზებს.

წესითა და რიგით, ტურის ცენტრალური მატჩი ზესტაფონშია, სადაც „ამერი“ სტუმრობს, თუმც ორივე გუნდი უმოტივაციოდ არის — იმერლებმა ბრინჯაო გაინაღდეს, ამერელებისთვის კი თუნდაც ერთი ადგილით წინ წაწევა მაინცდამაინც დიდი ვერაფერი ნუგეშია. მაგრამ არსებობს ერთი ფაქტორი — „ზესტაფონი“ და „ამერი“ ერთმანეთს მუდამ დაძაბულ ბრძოლას უცხადებენ და დასამტკიცებელი ალბათ დღესაც ექნებათ. მასპინძლები ეცდებიან, დაამტკიცონ, რომ ოთხი დღის წინ მოგებული თასი შემთხვევითი არ ყოფილა, სტუმრები კი — პირიქით.

კარგი მატჩი უნდა გამოდგეს ახალციხეშიც, სადაც მესხები „ვიტ ჯორჯიას“ დაუხვდებიან, თუმც უფრო კარგი იქნებოდა, ორივე გუნდს ქულები სჭირდებოდეს. ჩემპიონატის ბოლო ტურს მეტოქეები უმოტივაციოდ ხვდებიან: დებიუტანტები მყარად არიან მეექვსე ადგილზე და მისი დაკარგვა არ ემუქრებათ, ვეტერინარებმა კი უკვე გაინაღდეს მეორე ადგილი და ახალციხეში შეეერცხლილები ჩადიან.

ჩემპიონის რანგში და ოქროს მედლებით ჩადის თბილისის „დინამო“ გორში, თუმც ოქრო და ძვირფასი ქვები ახლა „დილას“ უფრო სჭირდება — კლუბს სახელფასო დავალიანება აქვს, რის გამოც ფეხბურთელებმა წინა ტურში ცხინვალის „სპარტაკთან“ მატჩი შესვენებისას მიატოვეს. თუმც ესეც არაფერია იმასთან შედარებით, თავად „დილამ“ უმაღლესი ლიგა რომ დატოვა.

დავალიანებამ იმდენად შეაწუხა ფეხბურთელები, რომ გამოსვლას არც „დინამოსთან“ აპირებენ, გორელები ალბათ ჭაბუკთა გუნდით დახვდებიან ჩემპიონს და თუ დუშან უჭრინმა საბრძოლო შემადგენლობა გამოიყვანა, გორში ეგებ მიმდინარე ჩემპიონატის ყველაზე დიდსხვაობიანი მოგებაც ვიხილოთ.

კიდევ ერთი დებიუტანტი „მგლები“ ბოლო ტურში შეეცდება, „მესხეთს“ საფეხურით უკან დაუდგეს და ჩემპიონატი მეშვიდე ადგილზე დაასრულოს. ამისთვის ზუგდიდელებს ერთი ამოცანა აქვთ გადასაჭრელი — შინ უნდა დაამარცხონ „ბორჯომი“.

პირველი წრე რომ ყოფილიყო, სტუმრებს ეგებ არ წაეგოთ, მაგრამ მეორე წრეში კურორტელებს ყველა უგებს, ვისაც არ ეზარება. ამაში კი მთავარი დამნაშავე თავადაა — მეორე წრეს გუნდი „ექსპერიმენტული“ შემადგენლობებით ატარებს, თამაშს თამაშზე აგებს და ამიტომაცაა, პირველ წრეში ნაჩვენები მეოთხე ადგილიდან ქვემოთ რომ დაეშვა და, შესაძლოა, ჩემპიონატი მეცხრე ადგილზე დაასრულოს. ეს იმ შემთხვევაში, თუ თავად წააგებს „მგლებთან“, ბოლნისის „სიონი“ კი შინ მოუგებს „მერანს“, რაც გასაკვირი და საოცარი სულაც არ იქნება — ბოლნისის სტუმარი „მერანიც“ უკვე ქვედალიგელია და მისი მატჩები ფორმალურ ხასიათსღა ატარებს.

მიხეილ ჟორჟოლიანი

დისკვალიფიცირებულნი:

„სიონი“: მიხეილ კობაური;

„დინამო“: დიდიე ოვონო, მათე ვაწაძე, ნედ ზელიჩი;

„ლოკომოტივი“: ნიკა გუშარაშვილი, ირაკლი სამხარაძე;

„მესხეთი“: ალექსანდრე კოშკაძე, თემურ ღონღაძე, მიხეილ თაყაძე;

„მერანი“: ლაშა ჯანგიძე, გიორგი ლოლაძე;

„სპარტაკი“: თორნიკე თარხნიშვილი, ზურაბ ბახტურიძე;

„დილა“: ალბერტ საყვარელიძე;

„ზესტაფონი“: პოლ კესანი, ერნესტ აკუასაგა, ედიკ საჯაია.

დინამო	25	22	1	2	65:18	67
ვიტ ჯორჯია	25	19	3	3	45:12	60
ზესტაფონი	25	17	5	3	53:15	56
ოლიმპი	25	15	4	6	25:16	49
ამერი	25	15	3	7	47:24	48
მესხეთი	25	10	6	9	27:30	36
ბორჯომი	25	9	4	12	30:35	31
მგლები	25	9	3	13	23:31	30
სიონი	25	8	5	12	29:35	29
ლოკომოტივი	25	6	6	13	23:34	24
სპარტაკი	25	5	8	12	15:27	23
მერანი	25	6	1	18	15:49	19
ბათუმი	25	4	4	17	15:47	16
დილა	25	1	5	19	12:53	8

ბომბარდირები

16 - მ. ხუციშვილი *დინამო*
13 - დ. ტატანაშვილი *ამერი*
12 - ზ. ჟერებაშვილი *დინამო*
11 - შ. ვეიერა *ზესტაფონი*

ნაკრებებში პროტექციით ვერ მოხვდებით

ცაავა კეტაშვილს სამსახურს სთავაზობს

10 მაისს თბილისის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის არჩევნები ჩატარდა. ორივე კანდიდატი თბილისის „დინამოს“ ყოფილი ფეხბურთელები, გელა კეტაშვილი და გრიგოლ ცაავა იყვნენ. უპირობო გამარჯვება ცაავამ მოიპოვა — 27 სუბიექტიდან 26-მა მას დაუჭირა მხარი, ერთმა კი თავი შეიკავა. საინტერესოა, რა სიტუაცია დახვდა ახალ სამსახურში ახალ პრეზიდენტს. გუშინ გრიგოლ ცაავას საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში ვესტუმრეთ...

ბადრი ჯობლაძის ფოტო

— თბილისის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტად, შეიძლება ითქვას, ერთსულოვნად აგირჩიეს — მხოლოდ ერთმა შეიკავა თავი. ეს თქვენთვის რას ნიშნავს?

— უპირველეს ყოვლისა, დიდი პასუხისმგებლობაა, როგორც ამ ხალხთან, ასევე მთელ საზოგადოებასთან. მენდნენ და მეც მათი იმედები ჩემი საქმით უნდა გავამართლო.

— თქვენი კონკურენტი გელა კეტაშვილი იყო, მან არჩევნები დემონსტრაციულად დატოვა. მას შემდეგ კეტაშვილთან ხომ არ გისაუბრიათ? არჩევნებამდე ამბობდით, რომ ვეტერან ფეხბურთელებს დაასაქმებდით. კეტაშვილიც იქნება ამ სიაში?

— ჯერ არ მისაუბრია, თუმცა გელას აუცილებლად შევხვდები და, რა თქმა უნდა, სხვა ვეტერანებთან ერთად მასაც შევთავაზებ სამსახურს.

— ახალ სამსახურში რა ვითარება დაგხვდათ?

— რამდენიმე დღეა, პრეზიდენტი გავხდი და ჯერ გაცნობის პროცესში ვარ.

— საკადრო ცვლილებებს არ გეგმავთ?

— ბავშვთა ჩემპიონატი დასრულდება და ამის შემდეგ სერიოზული ცვლილებები იქნება. ჯერ მხოლოდ იმას გეტყვით, რომ ფედერაციის საპატიო პრეზიდენტი ნუკრი კაკილაშვილია.

— წინასაარჩევნო კამპანიის ერთ-ერთი მთავარი დაპირება ყველა სუბიექტისთვის 10 000 დოლარის გადაცემა იყო. ეს პროექტი როდის ამოქმედდება?

— ყველა სკოლა უნდა შემოვიარო და ჩემი თვალით ვნახო, რა ვითარებაა, ვის რა პრობლემები აქვს და ამის შემდეგ გვეცოდინება ნამდვილი სურათი. ისინი წარმოადგენენ თავის გეგმას, თუ რაში დახარჯავენ თანხას, ამ ყველაფერს კი ჩვენ მიერ შექმნილი ჯგუფი გაკონტროლებს.

— სტადიონებთან დაკავშირებით რა ხდება?

— გვინდა, თბილისის ფეხბურთის ფედერაციას საკუთარი სტადიონი ჰქონდეს და ვაპირებთ, იჯარით ავიღოთ. უკვე მოლაპარაკებებს ვაწარმოებთ „მაუდის“ და 35-ე სკოლის მოედნების მფლობელებთან და თუ მოვილაპარაკეთ, აგვისტოში ხელოვნურსაფარიანი მოედნის გაკეთებასაც დავიწყებთ. „ამერს“ და „ვიტ ჯორჯიას“ მალე ექნებათ ხელოვნურსაფარიანი მოედნები...

— საფეხბურთო სკოლების ლიცენზირებას და იქ მომუშავე მწვრთნელთა ლიცენზირების საკითხს რამდენად დაეთმობა ყურადღება?

— ფეხბურთში ლიცენზირება ძალიან მნიშვნელოვანია. მწვრთნელთა C ლიცენზიის გაცემა მომავალში ჩვენ დაგვევალება. ვთქვათ, მწვრთნელს ლიცენზია მივეცით, მაგრამ იმ სკოლაში ხელმძღვანელობა უნდა აკონტროლებდეს ამ მწვრთნელს. ის, რაც მას ასწავლეს, ბავშვებამდე თუ არ მიაქვს, რა აზრი აქვს ასეთ ლიცენზიას?! ჩვენ ვაპირებთ მწვრთნელებთან ხშირ კონტაქტს. საქართველოს ნაკრების თავკაცებს აუცილებლად ვთხოვ, რომ ქართველ მწვრთნელებს ჩაუტარონ ლექციები, სკოლებში იარონ და ვარჯიშებს დაესწრონ. დღეს მწვრთნელისთვის უცხო ენის ცოდნა აუცილებელია და ვაპირებთ, დახმარება გავუწიოთ — უცხო ენის მასწავლებელთან მომზადების რაღაც თანხას დავფარავთ. უცხოეთში სემინარებზე წასვლაც აუცილებელია მწვრთნელისთვის და ამაშიც მხარში დავუდგებით.

— თბილისის ნაკრების გაკეთებასაც გეგმავთ...

— 13-დან 17-წლამდელთა ნაკრებებს გავაკეთებთ. აქვე მინდა, ვთქვა, რომ ამ ნაკრებებში პროტექციით ვერავინ მოხვდება. დღეს ქართული ფეხბურთი რომ კრიზისშია, ამის ბრალიცაა. უნიჭო ბავშვებზე რეკავენ და გთხოვენ, იქნებ ათამაშოთო. ამით ძალიან ცუდ სამსახურს უწევენ თავიანთ შვილებს. მშობელი არ უნდა ჩაერიოს და სრული თავისუფლება უნდა მისცეს შვილს. თუ ნიჭიერია და მშრომელი, იგი ითამაშებს, თუ არა და, მისთვის უკეთესი იქნება, სხვა საქმეს მოჰკიდოს ხელი. ქართული ფეხბურთის საკეთილდღეოდ ყველამ წესიერად და პროფესიულად უნდა ვაკეთოთ საქმე.

— თბილისის ფეხბურთის ფედერაციას ახალი ოფისი როდის ექნება?

— მოგეხსენებათ, ვერის ბაღში ვაპირებთ ორსართულიანი შენობის აგებას და, სავარაუდოდ, სექტემბერ-ოქტომბერში დაიწყება მშენებლობა.

— უახლოესი აღმასკომის სხდომა როდის გაქვთ დანიშნული?

— 2 ივნისს 12 საათზე საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში და ბევრ საკითხს განვიხილავთ. აქვე მინდა, გითხრათ, რომ მსურს, თბილისის ფეხბურთის ფედერაციას მასმედიასთან ხშირი კონტაქტი ჰქონდეს. ორ-სამ კვირაში ერთხელ შევხვდეთ და ვისაუბროთ, თუ რა გავაკეთეთ, რა არის გასაკეთებელი...

ნუკრი ლოლაძე

ასეთი ხოჯავა არ გვჭირდება!

რუსეთის პირველ დივიზიონში კარგად გამოიყურება მახაჩყალის „ანჟი“, სადაც შვიდი ქართველი ფეხბურთელი ომარ თეთრაძის თავკაცობით თამაშობს.

გუშინწინ „ანჟიმ“ კონკურენტ როსტოვის სკა-ს 2:1 მოუგო და მეორე ადგილზე აინაცვლა. გადამწყვეტი გოლი მიხეილ აშვეთიამ გაიტანა.

მატჩის შემდეგ თეთრაძემ რამდენიმე ქართველი ფეხბურთელი დაახასიათა:

„თავიდან ძალიან გაგვიჭირდა, მაგრამ მოედანზე აშვეთიასა და განსაკუთრებით რევაზ ჯიქიას გამოსვლამ გაგვაძლიერა. მათი თამაშით კმაყოფილი დავრჩი, რასაც ვერ ვიტყვი გოჩა ხოჯავაზე, რომელსაც პრობლემები აქვს და ეს ვარჯიშებზეც ეტყობა. ასეთი ხოჯავა ჩვენ არ გვჭირდება“ — განაცხადა თეთრაძემ.

მიხეილ ჟორჟოლიანი

ლაშა ჭელიძე ჩამოქვეითდა

ყაზახეთის პრემიერლიგის მე-10 ტურში ლაშა ჭელიძის ყაზილორდას „ქაისარი“ შინ 0:1 დამარცხდა პავლოდარის „ირტიშთან“ და სატურნირო ცხრილში მე-3 ადგილზე ჩაქვეითდა.

ჭელიძე სათადარიგო იყო და მოედანზე არ გასულა.

რევაზ ძოძუაშვილის ყოფილი კლუბი ყარაგანდის „შახტიორი“ კი სტუმრად პეტროპავლოვსკის „ესილ-ბოგატირს“ დაუზავდა — 0:0.

ყარაგანდელთა ნახევარმცველი ლაშა ნოზაძე მოედანზე 46-ე წუთზე გამოჩნდა.

ყარაგანდელები ჩემპიონატში მე-9 ადგილზე არიან.

ძმებ ზვიად და გიზო ჯელაძეების უსტ-კამენოგორსკის „ვოსტოკმა“ სტუმრად 0:3 წააგო „აქტობესთან“.

შეუცვლელად ითამაშა ზვიადმა, მისი უმცროსი ძმა კი მოედანზე 64-ე წუთზე გამოვიდა.

„ვოსტოკი“ მე-14 ადგილზეა.

კახა შალამბერიძე



ყენიამ უხეშობას 7:0-ით უპასუხა

ლევან ყენიას „შალკე U19“-მა 7:0 გაანადგურა დიუსელდორფის „ფორტუნას“ თანატოლები, ქართველმა შემტევმა კი ამ მატჩში ერთი გოლი თავად გაიტანა, ორჯერ სხვებს გაატანინა. ყენიამ მე-10 წუთზე გახსნა ანგარიში.

ლევანს რამდენჯერმე ეუხეშნენ და ტრავმაც მიიღო, თუმც თამაში მაინც გააგრძელა.

„შალკეს“ 19-წლამდელები ზონის ბუნდესლიგაში მეორე ადგილზე არიან, თუმც, სავარაუდოდ, სწორედ ისინი გახდებიან ჩემპიონებიო, წერს გერმანული პრესა და ამატებს, „შალკე“ უდავოდ საუკეთესოა გერმანიის ამ ასაკის გუნდებშიო.

დავით თარგამაძის „ფრაიბურგ U19“-იც მეორე ადგილზეა თავის ზონაში და კვლავ სამი ქულით ჩამორჩება „შტუტგარტს“. „ფრაიმ“ 3:0 სძლია „ოფენბურგს“, თარგამაძემ კი 73 წუთი გაატარა მინდორზე, თუმც გოლი არ გაუტანია და არც საგოლე პასი გაუხერხებია.

ილია ნანოგაუგვილი

ჟირესი გაბონიდან გაიქცა

გაბონის ეროვნული ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა, ფრანგმა ალენ ჟირესმა თანამდებობა დატოვა.

ასეთი გადაწყვეტილება ჟირესმა გულშემატკივრების კრიტიკის გამო მიიღო.

„ჩემი მოთმინების ფიალა აივსო“ — განაცხადა საქართველოს ნაკრების ყოფილმა თავკაცმა და დაამატა, რომ გაბონში თავს უსაფრთხოდ სულაც არ გრძნობდა.

შეგახსენებთ, რომ ალენ ჟირესი საქართველოს ეროვნული გუნდის მთავარ მწვრთნელად 2004-05 წლებში მუშაობდა და მერე გაიოზ დარსაძემ შეცვალა.

კახა შალამბერიძე





ეროვნული ბიბლიოთეკა

52 წლის უფინალესები

ინგლისური „სანის“ რუბრიკას, რომელსაც პირობითად მოდი, „ათი ყველაზე“ დავარქვათ, „სარბიელის“ მკითხველი კარგად იცნობს. დღეს, ჩემპიონთა ლიგის ფინალის წინა დღეს, ინგლისური ტაბლოიდი, რასაკვირველია, სეზონის ამ უდიდეს მოვლენას ეხება და ლიგის, უფრო სწორად კი ჩემპიონთა თასის ისტორიაში (1956 წლიდან მოყოლებული) ათი ყველაზე დიდი ფინალის ჩამონათვალს გვთავაზობს. არდათანხმება და საკუთარი ვარიანტის შედგენა ნებადართული კი არა, სასურველიცაა.

მაშ ასე, „ჩელსიმ“ „მანჩესტერ იუნაიტედთან“ პრემიერლიგა წააგო და როგორც სანელები წერენ, ახლა 1500 მილის იქით, მოსკოვში შეეცდება შურისძიებას. გაზეთის აზრით, ხვალინდელ ფინალს ყველა წინაპირობა აქვს ისტორიული თუ ეპიკური რომ გახდეს, მანამდე კი...

10. ლივერპული 3:1 ბორუსია (1977)

„ლივერპულმა“ ჩემპიონთა თასი სულ ხუთჯერ მოიპოვა. 1977 წელს მიონხენგლადბახის „ბორუსიასთან“ მერსისაიდელთა პირველი ტრიუმფი შედგა. ეს თამაში რომში გაიმართა. მატჩის ნამდვილი გმირი კევინ კიგანი გახლდათ. ანგარიში ტერი მაკდერმოტმა გახსნა, რასაც „ლივერპულის“ ქომაგთა თითების საკვნეტად, „ბორუსიაში“ მოთამაშე დანიელი ვარსკვლავის ალან სიმონსენის საპასუხო გოლი მოჰყვა, მაგრამ შესვენების შემდეგ ტომი სმითმა და ფილ ნილმა ყველაფერი თავის ადგილზე დააყენეს.

9. მილანი 4:0 სტიაუა (1989)

ჩემპიონთა თასზე მილანელთა მესამე გამარჯვება ლეგენდარულმა ჰოლანდიურმა ტრიომ — მარკო ვან ბასტენმა, რუუდ გულიტმა და ფრანკ რაიკაარდმა — განაპირობა. შეხვედრაში, რომელიც ბარსელონაში „კამპ ნოუზე“ შედგა, ჰოლანდიური სამეული იმდენად ძლიერი იყო, რომ რუმინელებს მასთან გამკლავების შანსიც არ ჰქონიათ. მილანელებმა ოთხივე გოლი მეორე ტაიმში გაიტანეს.

8. სელტიკი 2:1 ინტერი (1967)

შეხვედრა პორტუგალიის დედაქალაქში გაიმართა და გლაზგოელ ვარსკვლავთა დაჯგუფებასაც მატჩის შემდეგ ამიტომ უწოდეს ლისაბონელი ლომები. აღსანიშნავია, რომ შეუვალი დაცვის მქონე „ინტერი“ თამაშამდე ყველას უპირობო ფავორიტად მიაჩნდა და როდესაც დიდმა სანდრო მაცოლამ ანგარიში გახსნა, არავის გაკვირვებია. თურმე, ნუ იტყვით და, სეირი წინ იყო: „სელტიკმა“ ტომი ჯემელისა და სტივი ჩალმერსის გოლებით მილანელ „შავ-ლურჯებს“ გამარჯვება და თასი ხელიდან გამოგლიჯა.

7. რეალი 4:3 რეიმსი (1956)

ეს იყო ჩემპიონთა თასის ისტორიაში პირველი ფინალი. ლეგენდარულმა „რეალმა“ სწორედ ამ დღეს დაიწყო და ზედიზედ ხუთი წლის განმავლობაში მოიგო დიდი ევროპული ჯილდო. ფინალი პარიზში გაიმართა და ფრანგულმა „რეიმსმაც“ საწყის ათ წუთში ორგოლიანი უპირატესობა მოიპოვა, მაგრამ „რეალს“ ალფრედო დი სტეფანო ჰყავდა. მადრიდელთაგან დი სტეფანოს გარდა თავდამსხმელი ექტორ რიალი გახლდათ გამორჩეული.

6. მანჩესტერი 4:1 ბენფიკა (1968)

მიუნხენის ტრაგედიიდან ათი წლის თავზე, სასწაულებრივად გადარჩენილმა მწვრთნელმა მეტ ბასბიმ „მანჩესტერ იუნაიტედი“ პირველ ევროტრიუმფამდე მიიყვანა. შეხვედრა ლონდონში, „უემბლიზე“ გაიმართა. ანგარიში ასევე სასწაულებრივად გადარჩენილმა ბობი ჩარლტონმა გახსნა, მაგრამ ლისაბონელებმა საქმე დამატებით დრომდე მიიყვანეს. დამატებითში კი „მანჩესტერი“ შეუჩერებელი აღმოჩნდა. გოლები შეაგდეს ჯორჯ ბესტმა, ბრაიან კიდმა და კვლავ და კვლავ სერ ბობიმ.

5. ბენფიკა 5:3 რეალი (1962)

ამსტერდამში „რეალი“ კვლავ მრისხანე გუნდისა და ფავორიტის სახელით ჩავიდა. თამაშიც „რეალის“ სასარგებლოდ წარიმართა: ალფრედო დი სტეფანომ, რომელმაც ამ შეხვედრაში, საბოლოოდ, ჰეთ თრიკი შეასრულა, მადრიდელები 2:0 დააწინაურა, მაგრამ „ბენფიკამ“ ანგარიში ჯერ გაათანაბრა, შემდეგ კი, იმხანად 20 წლის ამომავალმა ვარსკვლავმა უესებიომ „აიწყვიტა“ და გამარჯვება პორტუგალიურ კლუბს დაუტოვა.

4. მილანი 4:0 ბარსელონა (1994)

მილანელებმა ის თამაში დისკვალიფიცირებული ალესანდრო კოსტაკურტასა და ფრანკო ბარეზის გარეშე ჩაატარეს, მაგრამ ფაბიო კაპელოს ქვეშევრდომებმა იოჰან კრუიფის ლეგენდარული წყვილის, ხრისტო სტოიჩკოვისა და რომარიოს განეიტრალება სახეცვლილი შემადგენლობითაც მოახერხეს. ეს შეხვედრა ათენში გაიმართა. მილანელების ოთხიდან გამორჩეული გახლდათ მესამე, დეიან სავიჩევიჩის ულამაზესი გოლი.

3. მანჩესტერი 2:1 ბაიერნი (1999)

ბარსელონას „კამპ ნოუზე“ ჩატარებული ეს ფინალი არავის ახსოვს 90 წუთის გამო, ყველას ბოლო წამების ამბები აქვს გონებაში შემორჩენილი. ანგარიში მე-5 წუთზე მიუნხენელებმა გახსნეს, მაგრამ როგორც კი თამაში მსაჯის წამატებულ წუთებში გადავიდა, ტედი შერინგემმა სრულიად მოულოდნელად გაათანაბრა ანგარიში, რამდენიმე წამში კი შეცვლაზე შესულმა ოლე გუნარ სოლსკიაერმა გამარჯვებისა შეაგდო.

2. რეალი 7:3 აინტრახტი (1960)

გლაზგოურ დაუვიწყარ ფინალში ანგარიში ფრანკფურტელებმა გახსნეს, მაგრამ „რეალმა“ სასწაული ჩაიდინა და 46 წუთში 7 გოლი შეაგდო. ოთხი გოლი ლეგენდარულმა ფერენც პუშკაშმა გაიტანა, სამი კი ალფრედო დი სტეფანომ. გერმანელებმა „ჰემპდენ პარკზე“ შეკრებილი 127 ათასი მაყურებლის თვალწინ ორი გოლი უკვე ამის შემდეგ გაიტანეს.

1. ლივერპული 3:3 მილანი (2005)

პირველი ტაიმის შემდეგ „ლივერპული“ განადგურებული ჩანდა, მილანელები 3:0-ს იგებდნენ, მაგრამ კაპიტნის, სტივენ ჯერარდის ფანტასტიკური თამაშით წახალისებულმა მერსისაიდელებმა ანგარიში გაათანაბრეს და პენალტებში გაიმარჯვეს კიდეც.

პაპუნა ძედია





ფოტოლიზატორი

1X2 ამფსონები

სათამაშო სახლში ყურმოკრული სამშაბათობით და შაბათობით

კოდი	წყვილი	შედეგი	კოეფ-ტი	სისტ

— ნეტა ხვალ შემხვდეს სადმე საარჩევნო უბანზე, ისე გავაბრტყელებ ცემით, რო ურნაში ბიულეტენივით ჩაეტიოს.

— ვის ემუქრები, ძმაო?

— რა ქვია იმას, მუსტაფა კი არა და, იბრაჰიმოვიჩს. აზრზე ხარ, მასტმა რა იკადრა?! თვენახევარი დაკარგული იყო რიისეს დარტყუმლი ბურთივით და კვირას არ გაიჩითა?

— „პარმას“ ერთიანზე იდექი?

— არა, ტო, ეგ თამაში ცვეტში ნიჩია ვიცოდი. ყველა იმენა ორიანს წერდა. მეთქი ჯორივით დაიგრუზება და ფრეში გატყდება, მარა მანჩინი ეტყობა თვითონ ყომარობს. მე ვიყო ოთხს მინუს ორი, თუ მაგას უეჭველი ხელზე არ ქონდეს გამაზული მორატისთან, რო იბრაჰიმოვიჩი ჩემპიონატში 16 და მეტს გაიტანდა. აბა, ზამენაზე რა პონტში შეუშვა? კლიენტს თვენახევარი ბურთი არ ენახა და ეგეთ ბოიში რომელი ნარმალნი ტრენერი შეაგდებდა?

— კაი რა, ტორმუზ! რა ძაან კაფუსავით კრაიზე გახვედი, ტო! შენ, კაროჩე, ყომარის ამბავში ხარ ზაპასნოი და სასტავშიც კაი ხანი ვერ მოხვდები, გაიგე?

— რატო, ძმაო, მარტო „პარმამ“ გამიმაზა, თორე, დანარჩენები ხო დავსვი. აი, ნახე: ოლივერ კანი კარიერას დაასრულებს — დაჯდა. ოტმარ ჰიცფელდი იტირებს — დაჯდა და ყველაზე მაგარი, იმენა სერიოზული, „სანტოსი“-„ნეკაქსა“ წუხელ გვიან დამთავრდა — დაჯდა...

— ეგენი გცოდნია, მარა „პარმას“ ნიჩიას რო წერდი, რაული არ გაგახსენდა?

— რაული რა შუაშია, შტანგას თავი ხო არ მიარტყი?

— ექტორ რაულ კუპერი, შე რიკაშეტო, შენა. რატო გააგდეს „პარმადან“ „ინტერთან“ თამაშის წინ? აბა მითხარი, ფუტბოლი თუ გესმის. არ იცი და იმიტო დადიხარ დახეული ბილეთებით. „პარმას“ პრეზიდენტმა „ინტერს“ თამაში მიჰყიდა, გაიგე, ძმაო? კუპერი პროტი-ვზე დაუდგა და მაგიტო მოაშორეს. იტალიელი მაფიოზები რამეს მოგაგებინებენ? ეგენი ნეაპოლის ნაგავზეც მაყუთს აკეთებენ და შენისთანა იქსები გაუპარსიათ...

— ძაან ნიჭიერი რეჩი კი დაარტყი და ხვალ რას ფიქრობ? „მანჩესტერის“ მოგება არ იკვეთება? უეჭველი მგონია. თან „უილიამ ჰილში“ ცვეტში ერთიანის კუში უწერია.

— ისევ მაგრა იჭრები, ძმაო. ჯერ ერთი, ფინალი მოსკოვშია. მეორე — ეგ კუში მთელი სეზონი მართლა ჯდებოდა და გგონია რო მარტო შენ იცი? „უილიამ ჰილს“ ეგ კუში ლიჩნად აბრამოვიჩმა დაუზაკაზა, რო შენნაირმა ჰარიფებმა ლიგის ფინალზე მაყუთები მიიტანონ და „მანჩესტერის“ მოგებაზე შეაგდონ. მერე „ჩელსი“ მოიგებს, რომანა ძია ფულებს დახვეტავს და იახტიდან ხელს დაგიქნევს, გაიგე?

— ესე იგი, შენ ამბობ, რო „ჩელსმა“ იგებს?

— იასნია, რო „ჩელსმა“, აბა რა, მთელი რუსეთი მაგას ბალეშჩიკობს. დაჟე იმასაც ამბობენ, აბრამოვიჩი ფეხბურთელებს თითო-თითო ირემს შეჰპირდაო...

ძუში ძოწიკარია

ჩემი ბილეთი:
001 მანჩესტერი — ჩელსი
შედეგი: ვერ გაიტან გაგიტანენ
სავარაუდო მოგება: ორკვირიანი უფასო საგზური ჩუკოტკაზე
მომდევნო ამფსონებში შეიტყობთ,
თუ რა დაბარა საცოლემ უეინ რუნის მოსკოვში

114140 *

ერთი თვეც და მაუ დაბრუნდება

ცნობილ პორტუგალიელ მწვრთნელს ჟოზე მაურინიუს სჯერა, რომ დაახლოებით ერთ თვეში უკვე დასაქმებული იქნება. თუმცა „განსაკუთრებული“ ჯერ კონკრეტულ გუნდს არ ასახელებს. პრესა კი ისევ იმაზე საუბრობს, რომ „პორტუსა“ და „ჩელსის“ ექ-სთავკაცი „ინტერში“ რობერტო მანჩინის შეცვლისო.

როგორც ჩანს, „მაუს“ „სან სირო“ არ აცდება, რადგან მეორე ვარიანტად „მილანს“ ასახელებენ — თუ რობერტო დონადონი ევრო 2008-ზე „სკუადრა აძურას“ წარუმატებლად ათამაშებს, შესაძლოა, იგი ზაფხულშივე შეცვალოს კარლო ანჩელოტიმ, რომელსაც „მილანში“ კარგი სეზონი არ ჰქონია და, შესაბამისად, „როსონერის“ მაურინიუ ჩაიბარებსო.

ამბობენ იმასაც, პორტუგალიელმა ტაქტიკოსმა ახლახან „მანჩესტერ სიტისა“ და პსჟ-ს შემოთავაზებებზე თქვა უარიო. საუბარია „ბარსელონასა“ და სხვა კლუბებზეც.

„ფაქტობრივად, ყველა წამყვანი ჩემპიონატი დასრულდა. კიდევ ერთი-ორი კვირა გუნდებს იმისთვის დაჭირდებათ, რათა სამომავლო გეგმები მშვიდად დაწყონ და ყველაფერში კარგად გაერკვნენ. ასე რომ, დაახლოებით ერთ თვეში საქმეს დავუბრუნდები. არ ვიცი, სად, მაგრამ მუშაობას აუცილებლად განვაახლებ“ — თქვა მაურინიუმ.

ძოკი ძანდელაკი

რობინ ვან პერსი

ფლანგზე ბარსასთან

„ბარსელონას“ აგენტები დიდსაფეხბურო ევროპულ ბაზარს პეპ გვარდიოლას სამომავლო გუნდის გასაძლიერებლად ცხრილავენ. კატალონიური სამიზნე არცერთ სათამაშო პოზიციას არ ასცდა. ამჯერად „ბარსას“ სავარაუდო გარემარბებზე მოგახსენებთ.

ხუან ლაპორტას ბანაკის ფავორიტები დღეს არიან არსენალელები რობინ ვან პერსი, თეო უოლკოტი და ვალენსიელი დავიდ სილვა. გვარდიოლამ და სხვა სპეციალისტებმა ამ ფეხბურთელების „კამპ ნოუზე“ მიყვანის იდეა უკვე მოიწონეს და კატალონიაშიც იმედოვნებენ, რომ სამეულიდან ერთ-ერთთან სატრანსფერო ხელშეკრულება მალე გაფორმდება.

ხოსეპ გვარდიოლა შემტევი, აგრესიული სტილის მიმდევარია და მოიერიშეთა ხაზზე განხორციელებულ ტრანსფერებს განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევს. სამომავალსეზონო „ბარსაშიც“ გარემარბები დიდ როლს ითამაშებენ.

რობინ ვან პერსი კი ის ფეხბურთელია, რომელსაც როგორც მარჯვენა, ისე მარცხენა ფლანგზე შეუძლია თამაში და საჭირო შემთხვევაში ცენტრფორვარდობასაც გასწევს. 25 წლის „მეთოფემ“ თავისი სიძლიერე პრემიერლიგის ურთულეს ომებში დაამტკიცა და დღეს შეიძლება ითქვას, რომ ვან პერსი კარიერის მწვერვალზე იმყოფება. თუმცა ამ სეზონში ჰოლანდიელი კუნთის ტრავმის გამო იძულებული იყო, ბურთს და მოედანს სამ თვეზე მეტი ხნით ჩამოცილებოდა.

ნორჩი ასაკის მიუხედავად, თეო უოლკოტს ინგლისში „არსენალის“ ერთ-ერთ ვარსკვლავად თვლიან, თუმცა „მეთოფეთა“ მაესტრო არსენ ვენგერს ამ ფეხბურთელით განსაკუთრებული დაინტერესება არ გამოუჩენია. უკვე სამი სეზონია, თეო ლონდონურ გუნდში ირიცხება და ამ ხნის განმავლობაში მარტო პრემიერლიგის 39 მატჩში ითამაშა. ეგებ უოლკოტისთვის ხსნა „ბარსელონაში“ გადასვლა გამოდგეს, თუმცა გამოუცდელ ფეხბურთელთან ხელშეკრულების გაფორმებით კატალონიელებიც საკმაო რისკზე წავლენ.

მესამე სამომავლო კანდიდატი კანარისკუნძულელი დავიდ სილვაა, ვინც დღეს „ვალენსიაში“ ბურთაობს და დახვეწილი ტექნიკითა და მოედნის შესანიშნავი ხედვით გამოირჩევა. სილვას სხვა პოზიციებზეც შეუძლია თამაში, მაგრამ ყველაზე კარგად თავის სიძლიერეს მოიერიშეთა მარცხენა ფლანგზე ავლენს.

საგოლე პასების ოსტატი „ჩინიტო“ თანამედროვე ესპანური ფეხბურთის ერთ-ერთი აღმოჩენაა. „ბარსას“ ადრეც უნდოდა „ვალენსიადან“ მისი წაყვანა, თუმცა „ღამურები“ ვერ დაითანხმა. მოქმედი კონტრაქტით სილვას „მესტალიას“ კლუბთან თანამშრომლობა 2013 წლამდე უწევს, „ვალენსიადან“ „ჩინიტოს“ ვადამდელი გამოხსნის ოფიციალური თანხა კი 90 მილიონი ევროა.

დავიდ სილვა პრემერადივიზიონს კარგად იცნობს, 2005-06 წლების სეზონში „სელტაში“ თამაშობდა, მას შემდეგ კი „ვალენსიაში“. ხოლო „ჩინიტოს“ სუსტი მხარე ალბათ მაინც გოლების ნაკლებობაა.

ლადო ხოფერიძე

სულიგნობა ბულგარულად

ფანებს შორის ჩხუბისა და აურზაურის გარეშე ბულგარეთის ჩემპიონატის ბოლო ტურმაც ვერ ჩაიარა. შაბათს, ქვეყნის ჩემპიონად 31-ედ გამხდარმა სოფიის ცსკა-მ სტუმრად „ვირენს“ 2:1 მოუგო. ეს შეხვედრა ატეხილი აყალმაყალის გამო 10 წუთით შეწყდა და ფანებს შორის შეტაკებები მატჩის მერეც გაგრძელდა.

საქმე ის არის, რომ სანდანსკში სპეციალურად საჩხუბრად ჩავიდნენ სოფიის ცსკა-ს მოძულე პლოვდივის „ლოკომოტივის“ ქომაგები. ისროდნენ ბოთლებს, ქვებს და სხვადასხვა ნივთებს... ერთი ადამიანი სერიოზულად დაშავდა, ათეულობით ქომაგი კი მსუბუქად. სამართალდამცავებს 6 თანამშრომელი დაუშავდათ, ასევე მსუბუქად. პოლიციას დაახლოებით 40 გულშემატკივარი დაუკავებია. სხვათა შორის, ბულგარეთში მსგავსი ინციდენტები ძალიან მოხშირებულია.

საკლუბო — ავსტრალიაში?

2009 და 2010 წლის მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატის მასპინძლობის სურვილი ავსტრალიამაც გამოთქვა. აქამდე კანდიდატი ორი იყო — იაპონია და არაბთა გაერთიანებული საემიროები. ფიფა მასპინძლის ვინაობას 29-30 მაისს, სიდნეიში გასამართ კონგრესზე გაარკვევს.

„ჩვენ გვაქვს ყველა პირობა, რათა ამ მნიშვნელოვან ტურნირს უმაღლეს დონეზე ვუმასპინძლოთ. იმედია, ფიფა ჩვენს სასარგებლოდ მიიღებს გადაწყვეტილებას. თუმცა იაპონიისა და საემიროების სახით ძალიან სერიოზული კონკურენტები გვყავს“ — თქვა ავსტრალიის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ბენ ბაკლიმ.

კოდრომ ირანი არ ჩაყლაპა

ბოსნია-ჰერცეგოვინას ნაკრების მწვრთნელი მეხო კოდრო შაბათს თანამდებობიდან მოხსნეს. მან ირანთან ამხანაგური მატჩისთვის გუნდის მომზადება იუარა. ბოსნიელებს 26 მაისს პოლონეთთან უნდა ეთამაშათ, მაგრამ ფედერაციამ პოლონეთი ირანით შეცვალა და ნაკრებს თეირანში ამხანაგური შეხვედრა გაუხერხა. სწორედ ეს არ მოეწონა კოდროს, რომელმაც გუნდი ოთხი თვის წინ ფუად მუზუროვიჩისგან ჩაიბარა.

ბოსნია-ჰერცეგოვინას დროებით დენიალ პირიჩი უთავკაცებს.

გაგა ხუციშვილი

ფიქრის კვირა

სტივ მაკლარენს საფიქრელად ერთი კვირა აქვს. ამ შვიდი დღის განმავლობაში ინგლისის ნაკრების ყოფილმა თავკაცმა უნდა გადაწყვიტოს, წავა თუ არა სამუშაოდ ჰოლანდიურ „ტვენტეში“.

მაკლარენი, რომელმაც ინგლისის ნაკრების თავკაცის თანამდებობა გასული წლის ნოემბერში დატოვა, კვირას ნიდერლანდელთა სამეფოში გახლდათ და „ტვენტესა“ და „აიაქსის“ 0:0-ს დაესწრო. ამ ფრის წყალობით გუნდმა, რომელიც მას სთხოვს გაძღოლას, ჩემპიონთა ლიგაში თამაშის უფლება მოიპოვა.

ჩნდება კითხვა, რა საჭიროა მწვრთნელის გამოცვლა, თუკი მოქმედმა თავკაცმა ჩემპიონთა ლიგაში გამსვლელი ადგილი მოგაპოვებინა? ამ კითხვაზე პასუხი ის გახლავთ, რომ „ტვენტეს“ თავკაცი ფრედ რუტენი მომავალი სეზონიდან გერმანიაში მიბრძანდება, სადაც „შალკეს“ უნდა ჩაუდგეს სათავეში. ირკვევა, რომ როგორც კი რუტენმა თავისი სამომავლო გეგმების შესახებ გამოაცხადა, ჰოლანდიური კლუბი მაკლარენს დაუკავშირდა.

ცნობილია, რომ ჩემპიონთა ლიგაში თამაშის უფლებამ „ტვენტეს“ ხელმძღვანელობას სტადიონის რეკონსტრუქციისკენ უბიძგა. კლუბის 14-ათასიანი სარბიელი მომავალში 25ათასიანი გახდება.

კიდევ „ტვენტეშ“ ახალი ფეხბურთელების ხელში ჩაგდებითაც გამოიჩინა თავი. არის ასეთი ჰოლანდიელი ახალგაზრდა თეო იანსენი, რომლის გადაბირებასაც სხვა კლუბებიც ცდილობდნენ, მაგრამ მაკლარენის მთხოვნელებმა ყველას აჯობეს და ამომავალი ვარსკვლავი დაიბეგეს.

და კიდევ, ერთი კვირის შემდეგ „ტვენტე“ შვებულებაში მიდის და სწორედ ამიტომ სჭირდება ინგლისელი სპეციალისტისგან დროული პასუხი. თუ გარიგება შედგება, მაკლარენი ახალ სამახურში მივა და იქ ერთ ნაცნობსაც ნახავს: ავსტრალიელ ლუკ უილკშირთან მას ჯერ კიდევ „მიდლსბროდან“ აქვს ურთიერთობა.

პაპუნა კედია

არგენტინა

კლაუსურა. XV ტური

ოლიმპო 2:0 ხიმნასია (ხ)

ტიგრე 1:4 ლანუსი

ჩილე

აპერტურა. პლეი ოფი 1/2 ფინალი. I მატჩები

კოლო კოლო 0:1 ატლეტიკო უნივ. დე ჩილე 1:3 ევერტონი

ბრაზილია

სერია A. II ტური

ფიგეირენსე 2:1 კურიტიბა

პალმეირასი 2:1 ინტერნასიონალი

სანტოსი 4:0 იპატინგა

მექსიკა

კლაუსურა. პლეი ოფი 1/4 ფინალი. საპასუხო მატჩები

სანტოსი 1:1 ნეკაძსა (2:1)

საძულველი და საუკეთესო

რა ბედი ეწევა მანჩინის?

დეიან სტანკოვიჩი (მარჯვნივ): „ჩვენ საუკეთესონი ვართ“

„თუნდაც ყველას ვეზიზღებოდეთ, მაგრამ ჩვენ საუკეთესონი ვართ“ — განაცხადა „პარმასთან“ მოგების მერე „ინტერის“ სერბმა ნახევარმცველმა დეიან სტანკოვიჩმა.

ნეიტრალური ქომაგების აბსოლუტური უმრავლესობა იმაზე საუბრობდა, სკუდეტო უფრო „რომას“ ეკუთვნის, დედაქალაქელები უკეთეს ფეხბურთს თამაშობენ და არაერთი ქულა დაკარგეს უაზროდ, თორემ პირველზე იქნებოდნენო. თუმცა ფაქტი ჯიუტია და ვხედავთ, რომ „ინტერმა“ ცოტა უფრო სტაბილურად და უკეთ ჩაატარა სეზონი. ასე რომ, რამდენიც უნდა აკრიტიკონ „ნერაძური“, ახლა მილანელთათვის ეს არაფერს ნიშნავს, ისინი მეოცრით მესამე ჩემპიონობით ხარობენ. „სან სიროზე“ სპეციალური საზეიმო ცერემონიალი კვირას საღამოსვე გაიმართა.

„გაგვიჭირდა, განსაკუთრებით ბოლო თვენახევარში, მაგრამ სრულიად დამსახურებულად გავხდით ჩემპიონები. ვისაც ვძულვართ, ალბათ შურთ ჩვენი. რა ისტორიებს აღარ გვიგონებენ, რათა რეპუტაცია შეგვილახონ, მაგრამ... კომპლიმენტები „რომას“, მშვენიერი ფეხბურთის დემონსტრირებისა და ბოლომდე ბრძოლისთვის. თუმცა სკუდეტო ისევ ჩვენ მოვიპოვეთ. სიმართლე გითხრათ, ბოლო ტურში და დაძაბულობაში მოგებული ეს ჩემპიონობა უფრო სასიამოვნო და სასიხარულო იყო“ — დასძინა სტანკოვიჩმა.

„ნერაძურის“ ბრაზილიელი მცველი დუგლას მაიკონი: „არაფრის გვეშინოდა, რადგან ნამდვილი ჩემპიონები ვართ. დავამტკიცეთ, თუ როგორი შემართულები ვიყავით, ყველას ჩვენი სიძლიერე კიდევ ერთხელ დავუმტკიცეთ“.

„წელს უფრო გვესიამოვნა სკუდეტოს მოგება, ვიდრე შარშან. კომპლიმენტები „რომას“, რომელიც ბოლომდე დაიხარჯა, მაგრამ მიმაჩნია, რომ ჩემპიონი უძლიერესი გუნდი გახდა“ — თქვა ვეტერანმა პატრიკ ვიეირამ.

„ინტერის“ კაპიტანი ხავიერ ძანეტი: „ამ სკუდეტოს მოგება ძალიან გაგვიჭირდა, მაგრამ საკუთარ თავში ეჭვი წუთითაც არ შეგვპარვია. ცხადია, ცოტა ვნერვიულობდით, რადგან „რომას“ ბრწყინვალე სეზონი ჰქონდა და ქებას იმსახურებს, მაგრამ დავამტკიცეთ, რომ საუკეთესონი ჩვენ ვართ. ბოლო ორი კვირის განმავლობაში ჩვენზე რას აღარ ამბობდნენ და ყველანაირად ცდილობდნენ ზეწოლის მოხდენას, მაგრამ კრიტიკოსებს კიდევ ერთხელ გავეცით სათანადო პასუხი“.

„საოცრად ბედნიერები ვართ, ეს ჩვენი ზედიზედ მესამე სკუდეტოა. დავამტკიცეთ, რა ძლიერებიც ვართ, რთულ პერიოდში ერთად დავდექით და მიზანს მივაღწიეთ. ვერც ბევრმა ტრავმამ და შეგვიშალა ხელი, ჩემპიონობა დამსახურებულად მოვიპოვეთ. ახლა „რომასთან“ იტალიის თასის ფინალზე და მის მოგებაზე ვფიქრობთ“ — აღნიშნა მილანელთა თავდამსხმელმა ხულიო რიკარდო კრუსმა.

როგორც იცით, „ინტერის“ ფანებს მატჩზე დასწრება აკრძალული ჰქონდათ. მიუხედავად ამისა, „ნერაძურის“ დაახლოებით 4 ათასი ქომაგი მაინც ჩავიდა პარმაში. აქედან სულ მცირე 1000 გულშემატკივარი მოხვდა „ენიო ტარდინიზე“. ზოგმა ბილეთი „შავ ბაზარზე“ შეიძინა, ზოგიც დამცავ ბარიერებზე გადაძვრა...

მატჩის შემდეგ კი შეხლა-შემოხლა მოხდა „ინტერის“ ფანებსა და პოლიციას შორის. მილანელთა ულტრასებმა გავრიანი აურზაური მოაწყვეს ქალაქში. ერთი პოლიციელი კი საავადმყოფოში წასაყვანი გახდა.

ამასთან, „ინტერიდან“ რობერტო მანჩინის წასვლაზე მითქმა-მოთქმა გაძლიერდა, რადგან მატჩის შემდეგ მწვრთნელმა პრესისთვის კომენტარები არ გააკეთა. ჟურნალისტებთან არც „მანჩოს“ თანაშემწე სინიშა მიხაილოვიჩი გამოჩენილა. „ნერაძურის“ ხელმძღვანელობა კი ირწმუნებოდა, მანჩინი რჩებაო, მაგრამ...

ორშაბათს დილით „ინტერის“ დირექტორ ერნესტო პაოლილოს მაინც მოუხდა თქმა, ბოლომდე გადაწყვეტილი ჯერ არაფერიაო.

„ტექნიკური თვალსაზრისით, პრობლემები არ გვაქვს. თუმცა მანჩინი პრეზიდენტ მასიმო მორატის უნდა დალაპარაკოს და მასთან რაღაცები შეათანხმოს. თუ ისინი საერთო ენას გამონახავენ, სალაპარაკოც აღარაფერი იქნება. ვფიქრობ, 80 პროცენტზე მეტია იმის შანსი, რომ მანჩინი დარჩება. ყველაფერი მალე გაირკვევა, შეხვედრა ორ-სამ დღეში, ან იტალიის თასის ფინალის მერე შედგება. ეს რობერტოსა და მორატის განრიგზეა დამოკიდებული“ — აღნიშნა პაოლილომ.

გიორგი კაკაბაძე

რომა მაინც კმაყოფილია

დანიელე დე როსიმ „ინტერისადმი“ მსაჯების საეჭვო სიმპათიებზე კიდევ ერთხელ გააკეთა მინიშნებები. „ნერაძურის“ სერბმა ნახევრამცველმა დეიან სტანკოვიჩმა თქვა, „რომა“ ჩინებული გუნდია და ქებას იმსახურებს, მაგრამ სკუდეტო უძლიერესს დარჩა, ხოლო ვისაც ვეზიზღებით, მათ შურთ ჩვენიო.

„შესაძლოა ცხელ გულზე ნათქვამი გამომივიდეს, მაგრამ არ დამვიწყებია, იმ ორთვიანი პერიოდის განმავლობაში, როცა „ინტერს“ ყველაზე მეტად უჭირდა, თუ როგორ ახერხებდა „ნერაძური“ სასურველი შედეგის მიღწევას. არ მინდოდა, ეს ბოლო ტურის მატჩებამდე მეთქვა, რათა ზედმეტი საუბრები არ გამომეწვია. მადლობა სტანკოვიჩს, მაგრამ ადვილია სხვების ქება, როცა გამარჯვებული ხარ. მე კი საპასუხო კომპლიმენტების გაკეთება მიჭირს, რადგან მახსოვს, თუ როგორ იგებდნენ მილანელები“ — განაცხადა დე როსიმ.

„ჯალოროსის“ მწვრთნელი ლუჩანო სპალეტი: „საქებარი სიტყვების გარდა, ჩემს გუნდზე ვერაფერს ვიტყვი. სეზონი მშვენივრად ჩავატარეთ, უფრო მეტად გავიზარდეთ და წარმატებულ პროექტს ვაგრძელებთ. უბრალოდ, დღეს „ინტერი“ ჩვენზე ძლიერი იყო და არ აქვს აზრი წარსულის ქექვასა და იმის გახსენებას, როდის და რა შეგვეშალა. რაც შეგვეძლო, გავაკეთეთ. ალბათ, ცოტა იმაზე მეტიც. დე როსის სიტყვებს რაც შეეხება, ბევრ რამეში ვეთანხმები, ლოგიკური კომენტარები გააკეთა, მაგრამ არც ის დავივიწყოთ, რომ აღნიშნა — ცხელ გულზე ვლაპარაკობო“.

„რაღაც მომენტში ნამდვილად დავიჯერე, რომ სკუდეტოს მოვიგებდით. სამწუხაროდ, ასე არ მოხდა, მაგრამ იმდენად კარგი სეზონი გვქონდა, რომ მაინც კმაყოფილები ვართ. მადლობას ვუხდით ფანებს თანადგომისთვის. ახლა ჩვენი მიზანი 24 მაისს იტალიის თასის ფინალში „სტადიო ოლიმპიკოზე“ „ინტერის“ დამარცხებაა“ — თქვა „გლადიატორთა“ ტრავმირებულმა კაპიტანმა ფრანჩესკო ტოტიმ.

„ჯალოროსის“ მცველი ფილიპ მექსესი: „ჩვენ და ფანებმა დავიმსახურეთ სკუდეტო, მაგრამ სამწუხაროდ, ჩემპიონი „ინტერი“ გახდა, რომელსაც კომპლიმენტები ეკუთვნის, მაგრამ „რომაც“ საქებარია, ბრწყინვალე სეზონი გვქონდა და ბოლომდე ვიბრძოლეთ. ახლა იტალიის თასის მოპოვება გვსურს“.

შეგახსენებთ, რომ „რომას“ აქამდე ერთ სეზონში 82 ქულა არასდროს მოეგროვებინა და 24 მატჩიც არასოდეს მოეგო.

ძოკი ძანდელაკი

რეალმა გარაი იყიდა

ესეკიელ გარაი (როსარიო, არგენტინა, 1986) მადრიდის „რეალის“ სამომავალსეზონო პირველი შენაძენია. შეთანხმება სამეფო გუნდს, „რასინგსა“ და არგენტინელ ცენტრალურ მცველს შორის უკვე გაფორმდა და გარაიც მომავალ 6 სეზონს „სანტიაგო ბერნაბეუზე“ ითამაშებს. ფეხბურთელში „რეალი“ თავიდან 10 მილიონ ევროს გადაიხდის, თუმც თუ შუსტერის გუნდმა გარაისთან ერთად წარმატებებს მიაღწია, „რასინგის“ სალარო კიდევ ერთი მადრიდული მილიონით გამდიდრდება.

ოკეანისგაღმელ მცველს სამეფო თეთრების აგენტები უყურადღებოდ არასდროს ტოვებდნენ, თუმცა 2007-08 წლების სეზონში გარაის „რეალის“ მტერ „ბარსელონასთან“ ხელშეკრულების გაფორმებამდე ერთი ნაბიჯიღა აკლდა. კატალონიური კლუბის სპორტულმა დირექტორმა ჩიკი ბეგირისტაინმა ესეკიელის ტრანსფერი თითქმის მოაგვარა, მაგრამ „ბარსას“ პრეზიდენტმა ლაპორტამ ბოლო მომენტში „რასინგის“ მიერ დასახელებული 18 მილიონი ევროს გადახდაზე უარი განაცხადა. მერე გრანდებთან სატრანსფერო კეკლუცობით „რასინგიც“ დაიღალა, გარაიც და იმიტომაცაა, მცველი „ბერნაბეუზე“ ოდენ 10 მილიონად რომ გაგზავნეს.

გარაის სახით მადრიდელთა თავკაცობა შეიძენს ცენტრალურ მცველს, რომელსაც მსოფლიოში დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებენ. 21 წლის არგენტინელი ქვეყნის ნაკრების წევრია და „ბარსასთან“ ერთად, ხელში მის ჩაგდებაზე, „იუვენტუსი“, „მილანი“ და „მანჩესტერ იუნაიტედიც“ ოცნებობდნენ. გარაი ხომ, დაცვის გარდა, შემტევის თვისებებითაც გამოირჩევა. ამ სეზონში „რასინგის“ ყველა შეტევა ამ ფეხბურთელის ზუსტი, გამოზომილი პასებით იწყებოდა.

გარდა ამისა, არგენტინელი საჰაერო ბრძოლების დროსაც ძლიერია და საჯარიმოების და პენალტების უბადლო შემსრულებლადაც ითვლება. ამპლუით მცველს გოლის შეგდება სულაც არ უჭირს — ესეკიელმა ბოლო ორი სეზონის განმავლობაში მეტოქეთა კარის ცამეტჯერ დალაშქრა. შორს რომ არ წავიდეთ, მისი სიზუსტე „რეალმაც“ იწვნია საკუთარ ტყავზე — 2006-07-ის კამპანიაში სანტანდერელებმა სამეფო გუნდს 2:1 მოუგეს და ორივე გოლი გარაიმ გაიტანა პენალტებით.

ესეკიელ გარაი „რასინგში“ არაევროკავირელის სტატუსით იყო, თუმცა მადრიდში იმედი აქვთ, რომ არგენტინელი საჭირო პასპორტს უკვე ამ ზაფხულს მიიღებს. მისი ყოფილი კლუბი კი ტრანსფერში აღებულ 10 მილიონ ევროს ახალი ფეხბურთელების შესაძენად გამოიყენებს, რომლებიც გაისად პრიმერას გარდა, უეფას თასზეც იბრძოლებენ.

ლადო ხოდელიძე

დიდიე დროგბა
და უეინ რუნი

რუნის უცნაური გამონათქვამები

უეინ რუნიმ დიდიე დროგბას შეუთვალა, ჭკუაზე არ ხარო. დიახ, ნუ გაგიკვირდებათ, „მანჩესტერ იუნაიტედის“ თავდამსხმელმა „ჩელსის“ ფორვარდს ჩემპიონთა ლიგის ფინალის წინ სრულიად მოულოდნელად შეუტია.

ინგლისის ნაკრების წევრმა სიტყვა სიტყვით ასე თქვა: „როდესაც დროგბა ფორმაშია, ის წარმოუდგენლად ძლიერია. ის ტანადია, სწრაფი, გოლები მარცხენა ფეხითაც გააქვს, მარჯვენათიც და თავითაც. ასეთ დროს მასთან გამკლავება შეუძლებელია, მაგრამ არის ხოლმე პერიოდები, როდესაც უყურებ და ფიქრობ, ნეტავ ამას თავი თუ აბიაო“.

ინგლისელი ჟურნალისტები კი იხსენებენ, რომ დროგბასთვის ეს პირველი შემთხვევა არ არის, მნიშვნელოვანი მატჩის წინ ფსიქოლოგიურ შეტევას რომ უსმენს. ასევე იყო ნახევარფინალში, „ლივერპულთან“ შეხვედრის წინ, როდესაც მერსისაიდელთა თავკაცმა რაფა ბენიტესმა კოტდივუარელი ცრუ, თეატრალურ წაქცევებში, ინგლისური საფეხბურთო ჟარგონით რომ ვთქვათ, მყვინთავობაში დაადანაშაულა.

საინტერესოა, რომ დროგბას წინააღმდეგ ლაშქრობა რუნის თანაგუნდელმა ნემანია ვიდიჩმაც მოიწადინა. სერბმა თქვა:

„ის ხანდახან ძალიან ძლიერია, ხანდახან კი მეტისმეტად სუსტი. კიდევ, მას შეუძლია წაიქცეს, მსაჯს პენალტი რომ გამოსტყუოს, მაგრამ ეს მსაჯებმაც კარგად იციან. ჩემპიონთა ლიგის ფინალი ძალიან დიდი მოვლენაა და იმედი მაქვს, არბიტრები მას მომზადებულნი შეხვდებიან“.

კიდევ ერთი საინტერესო რამ თქვა უეინ რუნიმ. მანჩესტერელთა ვარსკვლავმა „ლივერპულის“ სამი წლის წინანდელი ტრიუმფი გაიხსენა და დასძინა, რომ ამ ამბავმა მაშინ მეტისმეტად დაწყვიტა გული.

რუნი: „ძალიან ძნელია, როდესაც ხედავ, როგორ იგებს შენი კონკურენტი რაიმე ჯილდოს. ჩემთვის ძნელი იყო იმის ყურება, თუ როგორ გაიმარჯვა „ლივერპულმა“ ჩემპიონთა ლიგაში. მას მერე ამ ტიტულის მოგების სურვილი გამიორმაგდა“.

პაპუნა კიდია

პინტურიკიოს მოლოდინი

ალესანდრო
დელ პიერო

33 წლის ასაკში სერია A-ს საუკეთესო ბომბარდირად გამხდარი „იუვენტუსის“ კაპიტანი და სიმბოლო ალესანდრო დელ პიერო კიდევ ერთი რამით შევიდა ისტორიაში — იგი გახდა მეორე მოტამაშე, ვინც შეძლო სერია B-ს საუკეთესო ბომბარდირობა და მომდევნო სეზონშივე სერია A-ს გოლეადორიც გახდა.

„პინტურიკიო“ შარშან სერია B-ში 20 გოლით გახდა ბომბარდირი, წელს 21 გოლი შეაგდო (აქედან მხოლოდ სამი — პენალტით) და უმაღლესი ლიგის გოლეადორად მოგვევლინა. მან ერთი ბურთით გაასწრო თანაკლუბელ დავიდ ტრეზეგეს და ორით — ჯენოელ მარკო ბორიელოს.

პირველად მსგავსი რამ პოლო როსიმ მოახერხა, „ვიჩენცას“ მაისურით. 1977 წელს იგი 21 გოლით სერია B-ს საუკეთესო ბომბარდირი გახდა, 1978 წელს 24 ბურთით — სერია A-სი.

დელ პიერომ, ვისაც უმაღლეს ლიგაში 21 გოლი აქამდე 1997-98 წლების სეზონშიც გაეტანა, ბოლო ტურში „სამპდორიასთან“ (3:3) საუცხოოდ ითამაშა. ალექსმა ორი გოლი გაიტანა, შუალედში კი თავისივე მოპოვებული თერთმეტმეტრიანის დარტყმა ჯენტლმენობით ცნობილმა თავდამსხმელმა ტრეზეგეს დაუთმო. არადა, ის გოლიც თავად რომ გაეტანა, პირად რეკორდს გაუმჯობესებდა და ბომბარდირიც უფრო დამაჯერებლად გახდებოდა. თუმცა ამ საქციელით დელ პიერომ მითქმა-მოტქმასაც მოუღო ბოლო: მასსა და ტრეზეგეს შორის კონფლიქტია, გოლების გულისთვის ერთმანეთს ჭამენო.

კლაუდიო რანიერიმ ალესანდრო 71-ე წუთზე შეცვალა, რითაც „პინტურიკიო“ აშკარად უკმაყოფილო დარჩა.

„არაფრის თქმა არ მინდა. რაც მოხდა, მოხდა. თუმცა იმწუთას უკმაყოფილო ვიყავი და ეს არც დამიმალავს. არც ჩვენ და არც „სამპდორიას“ მატჩის შედეგი არაფერს არ გვიცვლიდა და სიამოვნებით დავრჩებოდი მინდორზე მატჩის ბოლომდე“ — აღნიშნა დელ პიერომ.

დელ პიერომ სეზონი ბრწყინვალედ ჩაატარა და განსაკუთრებით კარგად ჩაამთავრა. ასე რომ, ნაკრებში მის გამოძახებასა და ევრო 2008-ზე წაყვანა-არწაყვანაზე წესით ლაპარაკიც აღარ უნდა იყოს, მაგრამ...

„ნაკრებთან დაკავშირებით ახალი და კონკრეტული ჯერ არაფერია, ისევ ველოდები“ — დასძინა დელ პიერომ.

კლადუიო რანიერი: „ალექსს საუცხოო სეზონი ჰქონდა და წესით, საორჭოფო აღარაფერი უნდა იყოს. ყველაფერი რობერტო დონადონიზეა დამოკიდებული. რატომ შევცვალე იგი? კაცით ნაკლებნი ვიყავით და გვიჭირდა, ამიტომ ლოგიკური გადაწყვეტილება მივიღე და ნახევარდაცვა გავაძლიერე. სამწუხაროდ, მაინც გავუშვით მესამე გოლი. რაც შეეხება ჩემპიონთა ლიგას, იქ სათამაშოდ ოთხი ფორვარდი მჭირდება. ამაურის ვყიდულობთ და მჯერა, იგი ტრეზეგეს გვერდითაც შეძლებს თამაშს, დელ პიეროს მხარდამხარაც და ვინჩენცო იაკვინტასთან ერთადაც“.

გიორგი კაკაბაძე

ბედნიერი იები

კალჩოპოლის სკანდალის გამო, წინა ორი წლის განმავლობაში „ფიორენტინას“ ჩემპიონთა ლიგაში თამაში არ დასცალდა. თუმცა „იებს“, როგორც იქნა, ეღირსათ ევროპის ყველაზე პრესტიჟულ საკლუბო ტურნირში დაბრუნება. მათ მიზანს სერია A-ს ბოლო ტურში მიაღწიეს, როცა „ტორინო“ დანიელ პაბლო ოსვალდოს ბრწყინვალე მაკრატელათი დაამარცხეს.

„ექსტრაორდინარული სეზონი გვქონდა, რომელიც ბრწყინვალედ დავასრულეთ. დიდი მადლობა ბიჭებს, ისინი შეუდარებელნი იყვნენ. აქ ტორინოელებსაც ვგულისხმობ. ყველაფერი შეიცვალა, ტურინელები უმოტივაციოდ კი იყვნენ, მაგრამ მაინც უშელავათოდ იბრძოდნენ და წაგება არ უნდოდათ. ოსვალდო ძალიან ნიჭიერია და მსგავსი აკრობატული ილეთები უაღრესად კარგად გამოსდის, მაგრამ უბრალო რაღაცები უნდა დახვეწოს. უმნიშვნელოვანეს წარმატებას მივაღწიეთ. კლუბის პრეზიდენტი ანდრეა დელა ვალე გასახდელში გვესტუმრა და ყველას მადლობა გადაუხადა. ბედნიერები ვართ, ახლა ზეიმისა და დასვენების დროა. მერე კი კვლავ შევიკრიბებით და ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპისთვის მზადებას დავიწყებთ“ — თქვა „ფიორენტინას“ მწვრთნელმა ჩეზარე პრანდელიმ.

„იების“ თავკაცი იტალიაში ყველაზე თავმდაბალი და ჩინებული ხასიათის მწვრთნელის სახელითაა ცნობილი. ამავდროეულად, იგი ერთ-ერთი უნიჭიერესია და ბოლო პერიოდშიც მრავალ გრანდს უკავშირებდნენ. თუმცა პრანდელიმ „ტორინოსთან“ მატჩამდეც თქვა, რაც უნდა მოხდეს, გუნდში ვრჩებიო და ეს თამაშის მერეც დაადასტურა — დავრჩები თუ არა? რასაკვირველია, კი!

პაბლო დანიელ ოსვალდო: „ეს არის ჩემი კარიერის უმნიშვნელოვანესი გოლი. მიმდინარე სეზონში გაწეული დიდი სამუშაო დაგვიფასდა, ძალიან გახარებულნი ვართ. შესაძლოა, ხშირად არ ვთამაშობდი, მაგრამ როცა მინდორზე ვიყავი, ყველანაირად ვცდილობდი, გუნდისთვის სარგებელი მომეტანა და საკუთარი თამაში დამეხვეწა. დიდი მადლობა ფანებს, რომლებიც გვერდით გვედგნენ. ჩემს გოლს ასევე გუნდის სპორტულ დირექტორ პანტალეო კორვინოს ვუძღვნი, მას ყოველთვის სჯეროდა ჩემი“.

კოკი კანდელაკი

ბოლო და ექსცენტრული რაულს მსაჯი გადაეხვია

პრიმერას ბოლო ტურმა „სარაგოსა“ სეგუნდადივიზიონის ჯოჯოხეთში გაისტუმრა, უმაღლესი ლიგინდან უკვე კარგა ხნის გავარდნილმა „ლევანტემ“ კი რაინდობა შეინარჩუნა და ოქროსმედალოსან „რეალს“ სახელფასო გაფიცვით „ბერნაბეუზე“ ჩემპიონობის აღმნიშვნელი ფიესტა არ ჩაუმწარა. ამასობაში, „რასინგი“ მეცხრე ცაზეა, გაისად სანტანდერელები თავიანთ ისტორიაში პირველად ითამაშებენ ევროტურნირზე, კერძოდ — უეფას თასზე

ტურის გმირი — რუბიალესი

გადავხედოთ ევროპულ გრანდ ლიგებს და დავრწმუნდებით, რომ აწ უკვე სეგუნდას მკვიდრ „ლევანტესნაირ“ გასაჭირში არც ერთი სხვა გუნდი არ არის. ვალენსიელებს ბოლო ორი წელიწადია, ჯამაგირი არ მიუღიათ. ამით უკიდურესად შეწუხებული ფეხბურთელები „რეალთან“ მატჩის წინ გაფიცვით ემუქრებოდნენ და არც არავინ გაამტყუნებდა, ასე რომ მოქცეულიყვნენ, თუმცა...

ლუის მანუელ რუბილესი ის კაცი იყო, „ლევანტეს“ გაფიცვის საქმე რომ წამოიწყო და მერე რაინდული მოსაზრებით, თავადავე ჩაშალა. „კლუბში უაღრესად მძიმე ვითარება გვაქვს, თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენი გასაჭირის გამო „რეალმა“ ჩემპიონობა ვერ აღნიშნოს. „ლევანტე“ კვირას მოედანზე აუცილებლად გამოვა და ითამაშებს“ — თქვა კაპიტანმა ჟურნალისტებთან შეხვედრისას.

მადრიდში რუბიალესის გადაწყვეტილებას სიხარულით შეხვდნენ — თავად განსაჯეთ, გაფიცვის შემთხვევაში მატჩი არ შედგებოდა და გულშემატკივრები ვერც „რეალის“ ოფიციალურ საჩემპიონო ფიესტას ნახავდნენ. „რუბიალესმა დაამტკიცა, კაპიტნის სამკლავურის ტარება მსაჯებთან სათამაშო ეპიზოდებზე ჩხუბის გარდა, სხვა რამესაც რომ გვავალებს. „ბერნაბეუმ“ კი ჩემპიონობაც იზეიმა და „ლევანტეს“ და მის კაპიტანსაც აპლოდისმენტებით შესაფერისი პატივი მიაგო“ — წერს მადრიდული „ასი“.

ლაინსმენთა ვარსკვლავი რაფა ნავიდა

„რეალის“ საჩემპიონო ზეიმის დროს სტადიონზე ერთი ისეთი ფაქტი მოხდა, რაც საქმე'ში ნაკლებად ჩახედულ კაცს დავთრებს გვარიანად აურევდა. მადრიდელთა კაპიტან რაულს თვალზე ცრემლმოდგარი ლაინსმენი (!) გადაეხვია და, ალბათ, კარგახანს არც გაუშვებდა, გონსალეს ბლანკო ფიესტით აღტაცებულ სხვა ფეხბურთელებს რომ არ მოეტაცათ. ნუთუ ესპანეთში მსაჯები „რეალის“ სიყვარულით თავს უკვე ველარ იმაგრებენ?

მსგავსიც არაფერი. საქმე ის გახლავთ, რომ 18 მაისს რაფა გერერომ თავის პროფესიულ კარიერაში ლაინსმენის მოვალეობა ბოლოჯერ შეასრულა. ასაკი თავისას შვრება და ესპანელ გვერდით მსაჯთა „სუპერ სტარიც“ პენსიაზე გასვლას აპირებს. სენიორ გერერო ექსცენტრული, თავისებურად ახირებული პიროვნებაა და ლაინსმენის ჩუმ, მოკრძალებულ იმიჯსაც მუდამ ჯანდაბას იქით აგზავნიდან ხოლმე. ისტორიამ მისი და მეხუტო გონსალესის ლეგენდარული კამთის ამბავიც შემოინახა — თანაშემწის სიჯიუტით გაკოფებული მთავარი არბიტრი გერეროს მივარდა და ისე უყვირა, ლამის მთელ სტადიონს გააგონა: „რაფა, ტვინს ნუ მი...ავ!“

ემოციური გერერო ესპანურ ფეხბურთს ლეგენდარულ რაულთან ძმური ამბორით დაემშვიდობა.

სარაგოსას ტრაგედია

ამ გუნდს სეზონის დასაწყისში მიზნად ჩემპიონთა ლიგაში მოხვედრა ჰქონდა დასახული, საბოლოოდ კი თავი სეგუნდადივიზიონში ამოყო... „სარაგოსა“ ბოლო ტურში „მალიორკასთან“ წახდა და მძიმე არაგონული ტრაგედიაც (როგორც ეს დრამატული ფილმების ფინალში ხდება) კუნძულზე მოსული კოკისპირული წვიმით გაფორმდა. „სარაგოსას“ წლეულს თითქოს ძლიერი ფეხბურთელები არ აკლდა, თუმცა ფორტუნამ შავ-თეთრები საბოლოოდ გაწირა და მალიორკული თავსხმა წვიმით გალუმპულები დაბალლიგელებთან საჭიდაოდ გააგზავნა. არაგონელთა ხარჯზე კი სეგუნდას „ოსასუნა“, „უელვა“ და „ვალიადოლიდი“ გადაურჩნენ.

ჯუნს ყველაფერს ნუ დავუჯერებთ

„მეგოლე არ ვარ, ფინტაობა უფრო მიყვარს“ — თქვა ადრე სერხიო „კუნ“ აგერომ მედიასთან და მერე დაუმატა — ჩემს მიმართ განსაკუთრებით მომთხოვნნი ნუ იქნებით, ყოველწლიურად 18 გოლს ხომ ვერ შევაგდებო.

არგენტინელმა თვრამეტიც გაიტანა და უფრო მეტიც, თან ბოლო საპრიმერო გოლით ისეთ მოტივაციადაკარგულ თამაშში იხეირა, როგორიც „ვალენსია“ — „ატლეტიკო“ იყო. „კუნი“ ახლა მადრიდელ „ათლეტთა“ ჭეშმარიტი ლიდერია. მართალია, თავს ფინტაობაზე დებს, მაგრამ მეტოქის საჯარიმოში რომ აღმოჩნდება, „რატომღაც“ სული წასძლევს და ბურთს კარის ბადეში აგზავნის. აგეროს ნორჩ ასაკს თუ გავითვალისწინებთ, წინ ბევრი Golazo ელოდება. თან გაისად ხომ „ატლეტიკომ“ ჩემპიონთა ლიგაზე უნდა ითამაშოს. „წესით“, დიდევროპულ გრანდკლუბთა მცველ-მეკარეებს კუნმა თავისუფლად ამოსუნთქვის საშუალება არ უნდა მისცეს.

ხენტოს მერე ყველაზე მაგარი სანტანდერელები

მითიურ პაკო ხენტოს და „რასინგს“ ერთი სამშობლო, კანტაბრია აერთიანებთ. ახლა ნახევარ საუკუნეზე მეტი გავიდა მას შემდეგ, რაც მადრიდის „რეალის“ ფეხბურთელი ფანტასტიკურ თანაგუნდელებთან ერთად ჩემპიონთა თასებს პანტაპუნტით, მიჯრით იგებდა. შესაბამისად, სანტანდერში და სრულიად კანტაბრიაში ყველაზე პატივცემულ კაცად ფრანსისკო ექტორ ხენტო ითვლება, თუმცა რადგან იქაურ „რასინგს“ სამომავალსეზონოდ უეფაზე ბურთაობის შანსი მიეცა, ეგებ დიდი პაკოს მიღწევებს თანამედროვეებმა თავიანთი მოკრძალებული წვლილი შემატონ.

ბოლადომ „ოსასუნას“ გამარჯვების გოლი 85-ე წუთზე გაუტანა. ინჩასებმა აღტაცების ღრიალით „ელ სარდინერო“ ლამის დააქციეს და „რასინგიც“ სიხარულის შოკშია — ხონათანი და კოლსა გიუედბივით ყვირიან, პატარა მუნიტისმა კი მწვრთნელი მარსელინო გარსია ტორალი ხვევნა-კოცნით კინაღამ დაახრჩო. ხუმრობა საქმე ხომ არაა, 95 წელიწადია, რაც „რასინგი“ არსებობს და ევროტურნირზე პირველად გავიდა.

ლადო ხომერიკი

საუკეთესო იბრა

„ინტერი“ კვლავ იტალიის ჩემპიონია, „ლივორნო“, „პარმა“ და „ემპოლი“ გავარდნენ, ალესანდრო დელ პიერო ბომბარდირი გახდა... სერია A-ს ბოლო ტურის შესახებ ყველაფერს დაწვრილებით channel4.com-ის ჩანახატიდან შეიტყობთ

გამარჯვებულები

ზლატან იბრაჰიმოვიჩი (ინტერი) — ექვსი კვირა ვერ თამაშობდა და უყურებდა, თუ როგორ ფაფხურობდნენ და როგორ კარგავდნენ ჩემპიონობას მისი თანაგუნდელები. თუმცა „იბრა“ საოცრად დაბრუნდა, რათა დაესრულებინა ის, რაც დაიწყო და 20 წუთში მოამთავრა ყველაფერი. ტრავმა რომ არ მიეღო, ეგებ ახლა საუკეთესო ბომბარდირობაც ეზეიმა, მაგრამ მორიგი სკუდეტოთი და „ინტერის“ გმირის სტატუსი, დაკმაყოფილება მოუწევს.

ჩეზარე პრანდელი (ფიორენტინა) — როგორც იქნა, ამ ნიჭიერ ტაქტიკოსს მიეცემა შანსი, თავისი გუნდი ჩემპიონთა ლიგაში გაიყვანოს და ძალები იქ მოსინჯოს. პრანდელიმ „იები“ ოტხეულის მკვიდრ გუნდად აქცია და უკვე ვერავინ იტყვის, ფლორენციელთა ეს მიღწევა შემთხვევითობა იყოო.

ალესანდრო დელ პიერო (იუვენტუსი) — მან ნელ-ნელა ბარგის ჩალაგება უნდა დაიწყოს ავსტრიაშვეიცარიისთვის. „იუვენტუსს“ „სამპოდრიასთან“ დიდი მოტივაცია არ ჰქონდა, ტურინელებს ქულები აღარ სჭირდებოდათ, მაგრამ დელ პიეროს შემართება გასაგები გახლდათ, მან ბწრყინვალედ ითამაშა, დუბლი გააზერხა და ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირიც გახდა. როცა შეცვალეს, ქომაგებმა ფეხზე ადგომით და ოვაციებით გააცილეს, მიუხედავად იმისა, რომ გენუაში „იუვე“ არ უყვართ. „პინტურიკიო“ ნამდვილად იმსახურებს „სკუადრა აძურას“ რიგებში ადგილს.

დამარცხებულები

კრისტიანო ლუკარელი (პარმა) — იანვარში, როცა იტალიაში დაბრუნდა, ბევრს გაუხარდა და დიდი მოლოდინიც ჰქონდა. თუმცა ლუკარელი ვერაფრით გამოირჩა. „ინტერთან“ კვირის თამაში მისი ნახევარი სეზონის კარგად ამსახველი გახლდათ. შეცვლაზე შესულმა ფორვარდმა ხეირიანი ვერაფერი მოიმოქმედა. ამბობს, რომ „პარმასთან“ ერთად სერია B-ში დარჩება და გუნდს დაბრუნებაში დაეხმარება. ვნახოთ...

ამანტინო მანსინი (რომა) — მიმდინარე სეზონში მრავალჯერ გახდა გუნდის გმირი და დედაქალაქელთა შეტევების სულისჩამდგმელიც იყო. თუმცა „კატანისთან“ მატჩი კოშმარულად ჩაატარა და ადრევე შეცვალეს. ბრაზილიელმა მშვენიერი სეზონი უფერულად დაასრულა.

მარკო ბორიელო (ჯენოა) — შესაძლოა, ევრო 2008-ზე მისი მოხვედრა-არმოხვედრასთან დაკავშირებით ატეხილი მითქმა-მოთქმა ზედმეტი ზეწოლა იყო მარკოსთვის. მიმდინარე სეზონის ერთ-ერთმა მთავარმა აღმოჩენამ ბოლო ხუთ მატჩში ერთი გოლიც ვერ გაიტანა. კვირას „ატალანტასთან“ უღიმღამოდ გამოიყურებოდა და ბომბარდირობის სტატუსი ხელიდან გამოეცალა კიდეც. გაკეთა კი ბორიელომ იმდენი, რომ რობერტო დონადონი დაერწმუნებინა?

გოლები

ზლატან იბრაჰიმოვიჩი — მისი ორივე გოლი შვენიერი გახლდათ, მაგრამ პირველი მაინც უფრო გამოირჩეოდა. ეს ბურთი „იბრაკადაბრამ“ არაფრისგან მოიგონა. მან მეტოქეები ჩამოიცილა და საოცრად ზუსტად დარტყა დაბალ კუთხეში, რითაც „ინტერი“ გამოაცოცხლა.

დანიელ პაბლო ოსვალდო (ფიორენტინა) — ახალგაზრდა ფორვარდმა ბრწყინვალე ხერხი მონახა თავისი გუნდის ჩემპიონთა ლიგაში გასაყვანად — „ტორინოსთან“ ჩინებული მაკრატელათი მოაგებინა „იებს“.

მირკო ვუჩინიჩი (რომა) — ამ გოლმა „რომას“ ჩემპიონობა ვერ მოუტანა, მაგრამ ეს მის სილამაზეს არ აკნინებს. ჩერნოგორიელმა არაერთი კატანიელი ჩამოიტოვა და თავისი დრიბლინგი შორეულ კუთხეში ბრწყინვალე დარტყმით დააგვირგვინა.

რიცვხები

მაგიური სამი: აქამდე „ინტერს“ მიჯრით სამი სკუდეტო არასოდეს მოეგო. თუმცა ეს შედეგი ჯერ არაფერია „იუვენტუსისა“ და მისი თანაქალაქელი „ტორინოს“ მიღწევასთან. ტურინულმა კლუბებმა ზედიზედ ხუთჯერ შეძლეს ჩემპიონობა. „იუვემ“ — 1931-1935, ხოლო „ტორომ“ — 1943-1949 წლებში.

ალექს დიდი: ალესანდრო დელ პიერო გახდა მეორე მოთამაშე, რომელმაც სერია B-სა და სერია A-ს საუკეთესო ბომბარდირობა მიჯრით მოიპოვა. პირველად ეს 30 წლის წინ პაოლო როსიმ შეძლო „ვიჩენცას“ მაისურით.

პარმას დაქვეითება: „ენიო ტარდინის“ ბინადრები სერია A-ში პირველად 1990 წელს აღზევდნენ და მას მერე არ გავარდნილან, მაგრამ...

გიორგი ბაბაბაძე

სარბიელი და კროკი

წარმოგიდგენთ

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		ინგლისი. ჩემპიონატი						
		24 მაისი						
18:00	179	ჰალი-ბრისტოლი	2.30	3.10	2.90	1.32	1.28	1.49
		ჩეხეთი. II ლიგა						
		21 მაისი						
19:00	43	პრჟიბრამი-ჰლუჩინი	1.40	4.00	6.30	1.03	1.14	2.44
19:00	44	ფულნეკი-უსტი ნად ლაბემ	1.60	3.50	4.60	1.09	1.18	1.98
19:00	45	სოკოლოვი-დუკლა პრაღა	1.75	3.30	3.85	1.14	1.20	1.77
19:00	46	ბოჰემიანსი(პრაღა)-ჰრადეც კრალოვე	1.95	3.00	3.45	1.18	1.24	1.60
19:00	47	ჩასლავი-იჰლავა	2.15	3.00	3.10	1.25	1.26	1.52
19:00	48	ოპავა-ოლომოუცი	1.50	3.60	5.35	1.05	1.17	2.15
19:00	49	ტრინეცი-კრჩი პრაღა	1.50	3.70	5.60	1.06	1.18	2.22
19:00	50	სლოვაცკო-ვიტკოვიცე	1.50	3.50	5.80	1.04	1.19	2.18
		სლოვაკეთი. 1 ლიგა						
		20 მაისი						
19:30	213	ტრნავა-ჟილინა	2.25	3.00	3.00	1.28	1.28	1.50
19:30	214	სინეცი-პეტრჟალკა	4.50	3.30	1.70	1.90	1.23	1.12
19:30	215	ბ.ბისტრიცა-სლოვანი	2.10	3.10	3.20	1.25	1.26	1.57
19:30	216	ნიტრა-რუჟომბეროკი	1.80	3.20	4.00	1.15	1.24	1.77
19:30	217	კოშიცე-ტრენჩინი	1.35	4.10	7.50	1.01	1.14	2.65
		ნორვეგია. I დივიზიონი						
		21 მაისი						
20:00	227	სანდეფიორდი-სოგნდალი	2.00	3.30	3.30	1.24	1.24	1.64
		შვედეთი. სუპერეტა						
		21 მაისი						
20:30	228	ანგელჰოლმი-დეგერფორსი	2.00	3.30	3.30	1.24	1.24	1.64
21:00	229	იორგრიტე-ფალკენბერგი	1.45	3.70	6.30	1.04	1.17	2.33
		ისლანდია. პრემიერ დივიზიონი						
		20 მაისი						
23:15	119	აკრანესი-ფრამი	1.80	3.20	3.75	1.15	1.21	1.72
23:45	120	რეიკიავიკი-ბრეიდაბლიკი	1.95	3.00	3.50	1.18	1.25	1.61
		ჩემპიონთა ლიგა						
		21 მაისი						
22:45	1	მანჩესტერი-ჩელსი	2.40	3.00	3.20	1.33	1.37	1.54
		AFC. ჩემპიონთა ლიგა						
		21 მაისი						
11:00	223	ჩანგჩუნი (ჩინ)-ადელაიდა(ავსტრალ)	1.95	3.20	3.60	1.21	1.26	1.69
13:30	224	მელბურნი (ავსტრალ)-ჩონბური(ტაილ)	1.75	3.30	4.10	1.14	1.22	1.82
14:00	225	პოპანგი(კორ)-ბინ დუონგი(ვიეტ)	1.20	5.20	12.00	1.00	1.09	3.62
14:00	226	გამბა(იაპო)-ჩუნამი(კორ)	1.35	4.10	6.90	1.01	1.12	2.57
		ფეხბურთი. ამხანაგური მატჩები						
		20 მაისი						
22:30	202	თურქეთი-სლოვაკეთი ნ	1.60	3.30	4.80	1.07	1.20	1.95
		23 მაისი						
14:00	204	ავსტრალია-განა	2.80	3.20	2.35	1.49	1.27	1.35
14:00	205	რუსეთი-ყაზახეთი	1.07	7.00	16.00	1.00	1.00	4.86
		24 მაისი						
14:00	206	ჰოლანდია-უკრაინა	1.55	3.40	5.80	1.06	1.22	2.14
20:00	207	შვეიცარია-სლოვაკეთი	1.65	3.30	4.60	1.10	1.21	1.92
14:00	208	ხორვატია-მოლდოვა	1.08	7.00	15.00	1.00	1.00	4.77
14:00	209	უნგრეთი-საბერძნეთი	2.85	3.20	2.25	1.50	1.25	1.32
14:00	210	ირლანდია-სერბეთი	2.25	3.10	2.85	1.30	1.25	1.48
		25 მაისი						
14:00	211	თურქეთი-ურუგვაი	1.90	3.20	3.45	1.19	1.22	1.66
		26 მაისი						
23:45	212	ჩეხეთი-ლიტვა	1.25	5.00	10.00	1.00	1.11	3.33
		ფეხბურთი. ქალები ეჩ 2008 (17) შვეიცარია 1/2 ფინალი						
		20 მაისი						
17:00	177	გერმანია17-დანია17	1.65	3.30	4.50	1.10	1.20	1.90
20:00	178	საფრანგეთი17-ინგლისი17	2.00	3.20	3.10	1.23	1.21	1.57
		იტალია. თასი						
		24 მაისი						
22:00	222	რომა-ინტერი	2.40	3.00	2.90	1.33	1.31	1.47
		შოტლანდია. თასი						
		24 მაისი						
18:00	174	რეინჯერსი-ქუინი	1.22	5.00	12.00	1.00	1.10	3.52
		სამხრეთ ამერიკა. ლიბერტადორესის თასი						
		21 მაისი						
23:45	218	ატლასი-ბოკა ხუნიორსი	2.55	3.10	2.60	1.39	1.28	1.41
23:45	219	ფლუმინენსე-სან პაულუ	2.25	3.20	2.90	1.32	1.26	1.52
		22 მაისი						
23:45	220	კუიტო-სან ლორენსო	2.35	3.10	2.85	1.33	1.28	1.48
23:45	221	სანტოსი-ამერიკა	1.50	3.60	5.40	1.05	1.17	2.16
		ხელბურთი. კაცები დანიის ჩემპიონატი						
		20 მაისი						
23:00	173	სვენდბორგი-ფცკ	1.90	8.50	1.90	1.55	1.00	1.55

I ტაიმის შედეგი

		1	X	2	1-X	1-2	X-2
10001	მანჩესტერი-ჩელსი	2.80	1.90	3.05	1.13	1.45	1.17
10202	თურქეთი-სლოვაკეთი ნ	2.05	2.10	5.30	1.03	1.47	1.50

I ტაიმი/ძირითადი დრო

		1/1	1/X	1/2	X/1	X/X	X/2	2/1	2/X	2/2
11001	მანჩესტერი-ჩელსი	3.60	10.00	20.00	4.60	4.40	4.80	20.00	10.00	4.00
11202	თურქეთი-სლოვაკეთი ნ	2.30	10.00	20.00	3.50	4.60	7.50	20.00	10.00	7.00

რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

		ნაკ.	მეტ.
12001	მანჩესტერი-ჩელსი	1.50	2.50
12202	თურქეთი-სლოვაკეთი ნ	1.90	1.70

ფრეს გარეშე (ძირითადი დრო)

16001	მანჩესტერი-ჩელსი	1.70	1.95
16202	თურქეთი-სლოვაკეთი ნ	1.23	3.60

რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს (მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე წსონი წაგებულად ჩაითვლება)

14001	მანჩესტერი-ჩელსი	1.85	1.95
14202	თურქეთი-სლოვაკეთი ნ	1.35	6.50

რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

		I-ში	თანაბრად	II-ში
15001	მანჩესტერი-ჩელსი	3.00	2.80	2.00
15202	თურქეთი-სლოვაკეთი ნ	3.00	2.80	2.00

გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს. (ძირითადი დრო)

		ნაკ.	მეტ.
13001	მანჩესტერი-ჩელსი	1.90	1.70

გოლი:წყვილი-1თუ კენტი-2 (0:0 ითვლება წყვილად)

17001	მანჩესტერი-ჩელსი	1.85	1.95
17202	თურქეთი-სლოვაკეთი ნ	1.85	1.95

გაიხსნა ტროტოს ახალი ფილიალი მისამართი: ვაჟა ფშაველას მე-4 ხვ. II სართ.

შესაძლო ცვლილებები დააზუსტეთ ადგილზე

საქართველოს ჩემპიონატი
სუპერლიგა. სუპერფინალი

ავიამ რუსთავიდან მოედანი წამოიღო

19 მაისი. რუსთავი

ენერჯი 1:1 ავიამშენი

ენერჯი 90:83 ავიამშენი

31:25 20:23 13:19 26:16

ენერჯი: გამყრელიძე (26), გოგობერიშვილი (10), ჭოჭუა (9), სტეფანოვი (10 ქულა, 10 მოხსნა), ბაბიაშვილი (26); ჩიტაშვილი (8), ტუჯანი (1), დიდია

ავიამშენი: ტულუში (22 ქულა, 8 მოხსნა, 6 პასი), ნიკოლაძე (5), კვიმსაძე (9), მინაშვილი (6), მათიაშვილი (26 ქულა, 10 მოხსნა); როდუმტა (13 ქულა, 11 მოხსნა), ბერაია (2), იმნაძე

მსაჯები: ზაზა მაჩალაძე, მაკა კუპატაძე, დავით ბერეკაშვილი

კომისარი: როლანდ გელოვანი

ლაშა გამყრელიძე

ვისაც აქამდე ეჭვი ეპარებოდა იმ დაუწერელ კანონში, რომ მსაჯები მეტნაკლებად მასპინძელი გუნდის მიმართ არიან კეთილგანწყობილნი, გუშინ რუსთავული მატჩის შემხედვარე, ამაში ალბათ საბოლოოდ დარწმუნდებოდა. „ავიამშენის“ მწვრთნელ-მოთამაშეები ჯერ კიდევ ფინალური სერიის პირველი მატჩის შემდეგ იყვნენ მსაჯების მიმართ პრეტენზიულნი, გუშინ კი მათ უკმაყოფილებას საზღვარი არ ჰქონდა. ხელაღებით ვერც ერთ მსაჯზე ვერ ვიტვით, მასპინძელთა მხარეს იყოო, მაგრამ თითქმის ყველა საკამათო ეპიზოდში მათ რუსთაველებისთვის და, შესაბამისად, სავსე დარბაზისთვის სასარგებლო გადაწყვეტილება მიიღეს. რამდენიმე ასეთ ეპიზოდს სხვა მატჩებში შეიძლება არც ჰქონოდა გადამწყვეტი მნიშვნელობა, მაგრამ გუშინდელი შეხვედრა თავიდან ბოლომდე დაძაბული იყო, ქულა ქულაში მიდიოდა და „ავიატორებიც“ ამიტომ იყვნენ გაოგნებულნი — წაგება მათ მთლიანად მსაჯებს დააბრალეს.

მაგალითების მოყვანას აქ არ შევუდგებით და მათგან ყველაზე რეალურს გამოვარჩევთ, რის შემდეგაც „ავიამშენის“ წაგება საბოლოოდ გაფორმდა. მატჩის ბოლო წუთი ახალი დაწყებული იყო, 6 ქულით ჩამორჩენილი „ავიამშენი“ განწირული რომ უტევდა და რუსთაველები კოტე ტულუშზე დაჯარიმდნენ. სასტვენის ხმა და ტულუშის ფარში სროლა თითქმის ერთდროულად მოხდა, კოტეს ნასროლი კი კალათში ჩაეშვა, მაგრამ მსაჯებმა არ ჩათვალეს. თუ მასპინძელთა მცველი ტულუშზე მანამდე დაჯარიმდა, სანამ ის მოძრაობას დაიწყებდა, მაშინ მსაჯმა წესის დარღვევა დაგვიანებით დაფიქსირა, რაც მოთამაშის ბრალი სულაც არ არის.

ეს ისეთი ეპიზოდი იყო, რაზეც თქვენი მონა-მორჩილი და დანარჩენი ჟურნალისტები ერთსულოვნად შევთანხმდით, ბურთი უნდა ჩათვლილიყოო, ხოლო ასეთი საკამათო, მასპინძელთა სასარგებლოდ დასრულებული სადავო ეპიზოდები, საკმარისზე მეტი იყო.

თუმც რუსთაველთა მოგების ჩრდილს ამით ვერ მივაყენებთ. მასპინძლებმა საკუთარ თავს აჯობეს, ბოლომდე სამაგალითოდ იბრძოლეს და თავი გადაირჩინეს. „ენერჯი-ინვესტს“ აკლდა გუნდის ერთ-ერთი ლიდერი ბესიკ ლეჟავა, რომელიც წინა მატჩში ჩადენილი უხეშობისთვის დისკვალიფიკაციას იხდიდა, თუმც ზვიად ბაბიაშვილმა და განსაკუთრებით ლაშა გამყრელიძემ რუსთაველებს ეს დანაკლისი არ აგრძნობინეს და მასპინძლებმა საბოლოოდ რომ მოიგეს, სწორედ ამ ტანდემის დამსახურებაა.

გამყრელიძემ თითქმის იგივე გააკეთა გუშინ, რაც გუშინწინ კოტე ტულუშმა. მთელი თამაშის მანძილზე ხომ აქტიური იყო და ბოლო, გადამწყვეტ წუთებზე ორი ჰაერივით საჭირო სამქულიანი ჩააკალათა.

მატჩის აღწერა დიდად საინტერესო არ იქნება, რაკი თითქმის მთელი შეხვედრის მანძილზე თანაბარი ბრძოლა მიდიოდა. რუსთაველები პირველ ტაიმში 5-7 ქულიან უპირატესობას კი ფლობდნენ, მაგრამ მეორეში მათ მეტოქესთან ფარქვეშ საბრძოლველად ძალები აღარ შერჩათ და მატჩი თანაბარ კალაპოტში ჩადგა.

„ავიამშენმა“ სამწამიანში გაიდგა ფეხი, თუმც რუსთაველებს შორი სროლები წაუვიდათ და მთელი მეორე ტაიმი ძირითადად ამით საზრდოობდნენ. ჰერიმეტრსმიღმიდან თავი გამყრელიძემ ისახელა, რომელმაც 6 სამიანი ჩაუგდო თბილისელებს და ბოლო ორი მათგანი „ავიატორთათვის“ განაჩენის გამომტანი აღმოჩნდა.

მაშ ასე, სერიაში ანგარიში გათანაბრდა, თუმც „ავიამშენი“ რუსთავიდან მასპინძელთათვის ართმეული მოედნის უპირატესობით ბრუნდება. თუკი ლევან მოსეშვილის გუნდი ორივე თბილისურ მატჩს (22 და 23 მაისს) მოიგებს, ჩემპიონობა მისია, თუმც ამის გაკეთება ურთულესი რომ იქნება, ამაზე თავად „ავიატორებიც“ არ შეგვეკამათებიან.

ირაკლი პერტაია

რუსთავიდან

ცინცაძის 21. როკის მესამე

გიორგი ცინცაძე და მისი „როკი“ ესტონეთის ჩემპიონობას უახლოვდებიან — ტარტუს გუნდმა მესამე თამაშიც მოუგო ტალინის „კალევს“. „როკერებმა“ დედაქალაქელები ამ ჯერზე მისსავე მოედანზე 73:63 დამარცხეს და ფინალურ სერიაში 3:0 დაწინაურდნენ, ასე რომ, პრაქტიკულად გაინადდეს ჩემპიონობა.

თავად ცინცაძემ თავისი საუკეთესო მატჩი ჩაატარა, მეტოქეებს 21 ქულა ჩაუგდო და მატჩის ბომბარდირი შეიქნა. „როკერთა“ ქართველი გამთამაშებელი ძირითადად შორიდან ბომბავდა მეტოქის კალათს — მისი 9 სამქულიანი სროლიდან 5 ზუსტი გამოდგა და ამას გარდა 4 პასი და 1 მოხსნაც შეიტანა მატჩის ოქმში.

„კალევი“ გატეხილია და „როკს“ ისღა დარჩენია, საქმე რაც შეიძლება მალე მიიყვანოს ბოლომდე. სერია ოთხ მოგებამდეა და შემდეგი თამაშიც ტალინში გაიმართება 21 მაისს.

NBA პლეი ოფი. მეორე წრე

ბოსტონმა კლივლენდს ომი დაწყებამდე მოუგო

18 მაისი

აღმოსავლეთი

ბოსტონი 4:3 კლივლენდი

ბოსტონი 97:92 კლივლენდი

ბოსტონი: პირსი (41), გარნეტი (13 ქულა, 13 მოხსნა), ბრაუნი (10)

კლივლენდი: ჯეიმსი (45), ვესტი (15)

პოლ პირსმა ესროლა და ჩაგდო. ლებრონ ჯეიმსმა ზუსტი სროლითვე უპასუხა. შემდეგ შეტევაში ისევ ჩაგდო პირსმა. ისევ უპასუხა ჯეიმსმა. ასე მთელი თამაში... ვერცერთი გუნდის თავკაცმა ვერ მიაგნო მეტოქე გუნდის ფრთაგაშლილი მექულის შესაბორკ საშუალებას, პირსი და ჯეიმსი მთელი შეხვედრის განმავლობაში ბომბავდნენ ერთურთის კალათს და „ბოსტონისა“ და „კლივლენდის“ გადამწყვეტი ჯახი პირად დაპირისპირებად აქციეს — ერთმა 41 ქულა მოიხვეჭა, მეორემ 45 მოქაფა. ორივესთვის სარეკორდო მაჩვენებელია.

წლის საკალათბურთო ფუნქციონერად დასახელებულმა, „ბოსტონის“ ვიცე-პრეზიდენტმა დენი ეინჯმა ორთა დუელს ეპიკური უწოდა. სხვათა შორის, ეინჯი მონაწილეობდა 20 წლის წინ გამართულ მსგავს საპლეიოფო ჯახში, სადაც მეორე რაუნდის გადამწყვეტ შეხვედრაში ერთმანეთში ზუსტად ასეთივე დუელი გამართეს მაშინდელი „ბოსტონის“ ლიდერმა ლარი ბერდმა და „ატლანტას“ მფრინავმა ბომბდამშენმა დომინიკ უილკინსმა. ატლანტელმა 47 ქულა გააკეთა და აქედან 16 ბოლო მეოთხედში ჩააგდო. ბერდს კი 34 მოუგროვდა, რომლიდანაც 20 ქულა (!) უკანასკნელ 12-წუთეულზე მოდიოდა. ბერდის გუნდმა მოიგო... მაგრამ დავბრუნდეთ აწმყოში, სადაც გამარჯვება ასევე „ბოსტონს“ დარჩა.

2008 წლის პლეი ოფში დამკვიდრებულ სტანდარტს ვერც ამ შეხვედრამ აუქცია გვერდი. მოიგო მასპინძელმა „ბოსტონმა“ და 2002 წლის შემდეგ პირველად გავიდა აღმოსავლეთის ფინალში, სადაც „დეტროიტს“ შეხვდება. სხვათა შორის, მასთანაც მოედნის უპირატესობას ფლობს და თუ ნაცადი გზიდან ერთხელაც არ გადაუხვევს და ყველა შინაურ თამაშს მოიგებს, „ბოსტონი“ მასაც ისევე გააცუცურაკებს, როგორც „ატლანტას“ და „კლივლენდს“.

მაშ, ლებრონ ჯეიმსს რაღა? ლებრონმა შარშან ფინალში კი ათამაშა „კლივლენდი“, მაგრამ წლეულს მარშირებული სვლის მეორე რაუნდში შეწყვეტა მოუხდა, რადგან რეგულარულ ჩემპიონატში მოედნის უპირატესობა ვერ მოუპოვა თავის გუნდს. ხშირად ომს დაწყებამდე იგებენ და აი, „ბოსტონის“ საქმენიც სწორედ ამ საბრძოლო ფილოსოფიის მართებულობას ამტკიცებენ. „კლივლენდის“ ლიდერს „ბოსტონთან“ შვიდ მატჩში საშუალოდ 26,7 ქულა, 6,4 მოხსნა, 7,6 პასი, 2,1 ჩაჭრა და 1,3 დაფარება მოუგროვდა, მაგრამ ამ რიცხვებით დიდად ვერ იამაყებს, რაკიღა პირველ რაუნდში და მით უმეტეს რეგულარულ ჩემპიონატში, მისი სტატისტიკა გაცილებით შთამბეჭდავად გამოიყურებოდა.

ვანო კობიაშვილი



ლებრონ ჯეიმსის „კლივლენდმა“ პოლ პირსის „ბოსტონს“ ვერ აჯობა

საქართველოს მე-18 ჩემპიონატი
კაცები. ფინალი. მეორე მატჩი
19 მაისი. არმიის სპორტული კლუბის დარბაზი

სირცხვილია!

ქართულ სპორტში მოჩხუბრები არ ილევიან

ბადრი კვითელაძის ფოტო

თბილისი 22:25 სტუ

მატჩი შეწყდა 59-ე წუთზე

თბილისი: ანდრიაძე, გონჩაროვი, კალანდაძე (9 გოლი), მაისურაძე (6), გელაშვილი (3), წივწივაძე (2), ქარდავა (2), ი. ტორონჯაძე, ჯიშკარიანი, ფორაქიშვილი, ყაველაშვილი, ქუთათელაძე, ულენტი, ღაღანიძე

სტუ: თევზაძე, სამყურაშვილი, გოგალაძე (6), კობახიძე (6), ტალახაძე (4), ა. ყიფიანი (3), ი. ჩიქოვანი (4), ბერძენიშვილი (2), ქობელაშვილი, ზაალიშვილი, გ. ჩიქოვანი, საჯაია, ნიკოლაიშვილი, ო. ყიფიანი

მსაჯები: ე. არაბული, თ. არჩაია

თამაშის დამთავრებამდე წუთნახევარზე ნაკლები რჩებოდა, შეტევაზე „თბილისი“ იყო — ტიტე კალანდაძემ ნერვები ვერ მოთოკა, სტუ-ელ ლევან ბერძენიშვილს განძრახ შეასკდა, მერე მაისურაში ხელი ჩაავლო და როდესაც ბერძენიშვილმა განთავისუფლება სცადა, კალანდაძისგან დარტყმა მიიღო და... ამის მერე საშინელება დაიწყო. ვინ ვის ურტყამდა, და ვინ გაშველებას ცდილობდა, ძნელად თუ გაარჩევდა კაცი. ჩხუბში „თბილისის“ პრეზიდენტი მამუკა მჟავანაძეც ჩაერთო და ხელბურთის ფედერაციის გენერალურ მდივან ზურაბ კაკაბაძეს ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა.

ეს ყველაფერი კი 17 მაისის ამბების გაგრძელებად შეიძლება ჩაითვალოს — ჯერ ერთი, „თბილისი“ დაჟინებით მოითხოვდა, რომ ლევან ბერძენიშვილისთვის თამაშის უფლება არ მიეცათ, რადგან ის მანამდე თურქულ „ჩაიკურში“ იყო განათხოვრებული. თუმც მეორე მხარის არგუმენტი ის იყო, რომ მას ივარა დაუმთავრდა და თამაში შეეძლო. მეორე — პირველ თამაშშივე იგრძნობოდა, რომ ეს მარტო წმინდა სპორტული დაპირისპირება არ იყო, ხელბურთელები ძალიან აგრესიულად იყვნენ განწყობილი ერთმანეთის მიმართ...

რაც არ უნდა იყოს, ფაქტი ძალიან სამარცხვინოა. ვიღაც იტყვის, სპორტია და ყველაფერი ხდებაო, მაგრამ ეს ჩხუბი წმინდა სპორტული ემოციებიდან არ მოდიოდა, ეს უფრო ერთმანეთზე გაბრაზებული კაცების ჩხუბი იყო და ამადაც არის სამარცხვინო...

მატჩის შემდეგ ვნებები ცოტათი ჩაცხრა. „სტუ-თელავის“ მწვრთნელმა ირაკლი კეკელიძემ მომხდარზე კომენტარის გაკეთება არ ისურვა, ფედერაცია გაარჩევსო. თამაშს კი დაძაბული და ემოციური უწოდა. ინციდენტის უშუალო მონაწილეებიდან კი ლევან ბერძენიშვილმა ეს თქვა: დაძაბული თამაში იყო, ორივე გუნდს ძალიან უნდოდა მოგება და სწორედ ამ ემოციური ფონის გამო მოხდა ეს ჩხუბიც, თუმცა არაუშავს, სპორტია და ყველაფერი ხდება. ტიტე კალანდაძეს ვერ გავესაუბრეთ, რადგან ჩხუბის მერე „თბილისმა“ თამაში მიატოვა და დარბაზიდან გავიდა. ამიტომაც ის ანგარიში დაფიქსირდა, რაც მანამდე იყო — 25:22. სტუ-ს სასარგებლოდ და ესეც მათი მე-18 ჩემპიონის ტიტული.

მომხდარი ინციდენტის გამო ამბის თხრობა ბოლოდან დავიწყეთ, ახლა კი თანმიმდევრობით მივყვეთ, თუმც ჯერ ის ვთქვათ, რომ სტუ-ს 26:24 მოგებული პირველი თამაშის მერე მცირე უპირატესობა ჰქონდა და მეორე მატჩიც ყოჩაღად დაიწყო — სტუდენტები 2:0 დაწინაურდნენ. ამის მერე ერთი პერიოდი თანაბარი თამაში კი წავიდა, მაგრამ ტაიმის შუაწელიდან „თბილისი“ გამოცოცხლდა და ანგარიში წაიყვანა. ისეთი უშეღავათო ბრძოლა მიდიოდა, რომ დიდი სხვაობით გაქცევა ძნელი საქმე იქნებოდა. თბილისელები 3-4 ბურთიან ფორას ინარჩუნებდნენ და ტაიმი 12:10 მოიგეს, რაც მათთვის ხელსაყრელი ანგარიში იყო. თუმც წინ უკომპრომისო 30 წუთი ელოდათ.

წინა თამაშის მსგავსად, სტუ-ში გამოირჩეოდნენ ბერძენიშვილი, ტალახაძე და ასევე გოგოლაძე, რომელმაც საკმაოდ მნიშვნელოვანი გოლები გაიტანა. კარგი იყო კობახიძეც, ოღონდ ისიც აღვნიშნოთ, რომ მან სამი საჯარიმო დარტყმა გააცუდა. სტუდენტებს სულ ორიოდე წუთით დაეხმარა კაპიტანი ქობელაშვილი, ვისაც მენისკის ტრავმა აქვს და ოპერაციას საჭიროებს. სტუ-ს მთავარი ამოცანა დაცვაში აგრესიული თამაში და ტიტე კალანდაძისთვის სივრცის მაქსიმალურად შეზღუდვა იყო, რაც გუნდმა პრინციპში შეასრულა კიდეც. თბილისელთა მხარეს უჩა მაისურაძე კი ყოჩაღობდა, მაგრამ სამაგიეროდ ვერ წაუვიდა თამაში გუნდის ერთ-ერთ ლიდერ გიორგი წივწივაძეს. ამის მიუხედავად, მეორე ტაიმის შუაწელამდე „თბილისი“ სათავისო ანგარიშს ინარჩუნებდა და საფინალო სასტვენამდე 13 წუთით ადრე 20:16 იგებდა, მაგრამ ამის მერე სიტუაცია შეიცვალა, სტუ-მ სხვაობის შემცირება იწყო და ამ საქმეში ლომის წილი აკაკი ტალახაძემ დაიდო, ვინც ზედიზედ 3 გოლი გაიტანა და ანგარიში გაათანაბრა 20:20. „თბილისმა“ სურათის შეცვლა წუთშესვენებით სცადა, მაგრამ უკვე გვიან იყო. გუნდი ძალიან დაღლილი ჩანდა და ბოლო გაბრძოლების თავი აღარც ფიზიკური და აღარც ფსიქოლოგიური თვალსაზრისით აღარ ჰქონდა. სტუ წინაც გავიდა და გადამწყვეტი უპირატესობა მოიპოვა. სხვა ნიუანსებთან ერთად სტუდენტების მე-18 ჩემპიონობა ორმა ძირითადმა ფაქტორმა განაპირობა — მათ შეძლეს ტიტე კალანდაძის გაჩერება და მეტოქე ფიზიკურად აშკარად დაჯაბნეს. ბოლოს კი იყო ის სამარცხვინო წუთები...

P.S. 28 მაისს ხელბურთის ფედერაციის აღმასკომის სხდომა გაიმართება, სადაც მომხდარ ინციდენტს განიხილავენ და ფედერაციის პრეზიდენტის არჩევნების თარიღსაც დათქვამენ.

ლექსო მაისურაძე

კოკაის კატიკოსი ადრევე ჩაიშალა

ქართველმა გოლიათმა ლევან ცაგურიამ მაისის ბაშოზე დადებითი ბალანსის (კატიკოსის) მოპოვების თეორიული შანსიც დაკარგა. გუშინდლამდე კოკაიდ წოდებულ ცაგურიას რვა შეხვედრიდან შვიდი წაგება ჰქონდა და, დარჩენილი ორთაბრძოლების მოგების შემთხვევაში, კატიკოსს მოინაგრებდა, მაგრამ მან ამჯერად უვატენაგეთი წააგო აღმოსავლეთის კომუსუბი კისენოსატოსთან. „შავი ზღვა“ მომდევნო შეხვედრას სამი გამარჯვების მქონე აღმოსავლეთის მე-3 მაეგაშირა მიაბიამასთან გამართავს.

ვერც ლევან გორგაძის საქმე მიდის კარგად. ტოჩინოშინად წოდებულმა ქართველმა აღმოსავლეთის მე-11 მაეგაშირა იბაკიამასთან სიტატენაგეთი დათმო შეხვედრა. არადა, გორგაძემ ბაშო მშვენივრად დაიწყო, სამიდან სამი გამარჯვება მოიპოვა და ლიდერთა მარაქაშიც გაერია, მაგრამ შემდეგ ხუთ მარცხს მხოლოდ ერთი გამარჯვება გამოურია. შეგახსენებთ, რომ ტოჩინოშინი მაკუჩი დივიზიონის დებიუტანტია და ამიტომ მისთვის დადებითი ბალანსის მოპოვებას დიდი მნიშვნელობა აქვს. მორიგ ბრძოლას გორგაძე სამი გამარჯვების მფლობელ აღმოსავლეთის მე-3 მაეგაშირა კაკიძოესთან ატარებს და, გამარჯვების შემთხვევაში, კატიკოსის გაკეთების რეალურ შანსს შეინარჩუნებს.

კვლავ დაუმარცხებლები არიან მონღოლი იოკოძუნა ჰაკუხო და ბულგარელი ოძეკი კოტოოსიუ. ჰაკუხომ მე-9 ორთაბრძოლა უვატენაგეთი მოუგო დასავლეთის მე-3 მაეგაშირა კაკურიუს, კოტოოსიუმ კი აღმოსავლეთის მე-4 მაეგაშირა ტოკიტენკუ შეიწირა.

ბაშოზე ერთი მარცხის ჰატრონი მხოლოდ დიდი ჩემპიონი ასასორიუა. მონღოლმა სუპერმოჭიდავემ იორიკირთ სეკივაკე ამას მოუგო. ასასორიუ მომდევნო ორთაბრძოლას სეკივაკე კოტესეგიკუსთან გამართავს. ჰაკუხო ამას შეხვდება, ხოლო კოტოოსიუ კაკურიუს მორევას შეეცდება.

ზურაბ მიგრიაული

ზე-14 2008

თოთხმეტი ოთხამდე შემცირდა

ზე-14-ის ჯგუფური ეტაპი მიილია და ნახევარფინალს ახალზელანდიურმა „კრუზეიდერზმა“ და „ჰარიკანზმა“, სამხრეთაფრიკულმა „შარკსმა“ და ავსტრალიურმა „ვარათაზმა“ უწიეს. ნახევარფინალური შეხვედრები 24 მაისს გაიმართება. ჯგუფში პირველ ადგილზე გასული სახლში მეოთხე პოზიციაზე მყოფს დაუპირისპირდება, ხოლო მეორე ადგილის მქონე კლუბი საკუთარ კედლებში მესამეადგილოსანს მიიღებს. მოკლედ, პლეი ოფში „კრუზეიდერზი“ კრაისტჩერჩში „ჰარიკანზს“ დაუხვდება, „ვარათაზი“ კი სიდნეიში „შარკსთან“ გაარკვევს ფინალისტის ვინაობას.

ბოლო ტურში „კრუზეიდერზი“ საუკეთესო შემადგენლობით დაუხვდა „ჰაილენდერზს“ და მეორე მარცხი იწვნია. სტუმრებმა საკუთარი ლელოსკენ მიმავალი ყველა გზა ჩაუხერგეს „ჯვაროსანთა“ ვარსკვლავურ არმიას. ალბათ პლეი ოფის ყველა მონაწილე უნდა დაჯდეს და ამ შეხვედრის ვიდეოჩანაწერი გაანალიზოს. ისინი თვალნათლივ დაინახავენ, თუ როგორ შეიძლება ერთი შეხედვით უძლეველი გუნდის დამარცხება. დაცვაში ზესაიმედო თამაში და შეტევაში სახელიან მოწინააღმდეგესთან უშიშარი და შეიძლება ითქვას, თავხედური დაპირისპირება გახდა „მთიელთა“ გამარჯვების უმთავრესი მიზეზი.



ოდგა ნდუგგანე

დურბანულმა „შარკსმა“ შვიდი ლელო გაუტანა ჰამილტონურ „ჩიფსს“. შეუჩერებლები იყვნენ სამხრეთაფრიკელთა ხაზის მობურთალები ოდვა ნდუგგანე და ჯიპი პეტერსენი. მათ მხარი მორკინალებმაც აუბეს. განსაკუთრებით კი „ზვიგენთა“ 8 ნომერი რა

ეროვნული ბიბლიოთეკა

სარეიტინგო ადი-ჩადი

WTA-ს რეიტინგში ქართველთა მატებაა — მაგდა ოქრუაშვილს ამ ორიოდე კვირის წინ ინდოეთში ITF-ის ეგიდით გამართულ ტურნირებზე კარგი თამაში დაუფასდა და პირველად მოხვდა პროფესიონალ ჩოგბურთელთა კლასიფიკაციაში. მაგდა 6 სარეიტინგი ქულით 934-ე პოზიციაზეა და ბუნებრივია, ამ წუთისთვის ეს მისი კარიერის უმაღლესი შედეგია.

ოქრუაშვილის დამატების შემდეგ რეიტინგებშის უკვე 15 ჩვენებურია — 4 კაცი და 11 ქალი და ამათგან ოთხმა კარიერის უმაღლეს საფეხურს უწია. ეს ოთხეული ანა ტატიშვილმა, სოფო შაფათავამ, თინა ყავლაშვილმა და სოფო ქვაცაბაიამ შეადგინეს. მათგან ყველაზე დიდი, 43-საფეხურიანი ნახტომი ყავლაშვილმა გააკეთა.

კაცები

458(+2) ლადო ჩიხლაძე	62
1225(-4) ნოდარ ითონიშვილი	4
1577(-10) გიორგი ჭანტურია	1
1781(-17) გიორგი ხრიკაძე	1

ქალები

180(+3) მაკა ჩახნაშვილი	166
257(+4)ანა ტატიშვილი	101
325(+13) სოფო შაფათავა	68
479(+43) თინა ყავლაშვილი	37
598(-4) სალომე დევიძე	23
645(+19) ოქსანა კალაშნიკოვა	19
670(+5) სოფო ქვაცაბაია	18
693(-81) მანანა შაფაქიძე	17
811(-10) ეკა გორგოძე	10
934(-) მაგდა ოქრუაშვილი	6
974(0) სოფო მელიქიშვილი	5

მელიქიშვილის დაბრუნება

სეზონის მეორე სლემტურნირის, „როლან გაროსის" დაწყებამდე თითებზე ჩამოსათვლელი დღეებიღა დარჩა და საჩოგბურთო სამყაროს ყურადღება, უკვე მთლიანად პარიზისკენ არის მიპყრობილი.

საქართველოს საუკეთესო ჩოგბურთელი ქალი მაკა ჩახნაშვილი ამ დღეებში „როლან გაროსის" საკვალიფიკაციო ეტაპზე ითამაშებს და შეეცდება, კარიერაში პირველად გააღწიოს დიდი სლემის შეჯიბრის ძირითად ბადეში.

მართალია, სლემტურნირის არა, მაგრამ WTA-ტურის ეგიდით გამართული შეჯიბრის ძირითად ბადეში მოხვედრამდე სულ ცოტა დააკლდა სოფო შაფათავას. თურქეთში, სტამბოლის თიხნარზე 200-ათასდოლარიანი ტურნირი ტარდება, რომლის საკვალიფიკაციო ეტაპზე შაფათავამ ჯერ კორტის მასპინძელი ეილულ ბენლი დაამარცხა 6:1 6:3, შემდეგ კვალიფიკანტთა შორის მე-5 ნომრად განთესილ ყირგიზ ქსენია პალკინას 6:2 6:3 მოუგო, მესამე და გადამწყვეტ მატჩში კი ვერას გახდა მეორე ნომრად განთესილ რუმინელ ლიანა უნგურთან — 1:6 2:6.

ამ კვირაში მოთამაშე სხვა ჩვენებურები უფრო მომცრო, ITF-ის ეგიდით მიმდინარე ტურნირებზე ცდიან ძალებს. მოსკოვის თიხნარზე 25-ათასიანი შეჯიბრია, რომლის საკვალიფიკაციო ეტაპზე ოქსანა კალაშნიკოვაცაა. პირველ წრეში ოქსანამ 6:4 4:6 6:4 დაჯაბნა ურეიტინგო რუსი დარია კუჩმინა და ახლა კლასიფიკაციის 619-ე ნომერს, უკრაინელ ანასტასია ვასილიევას შეხვდება.

ისრაელში, რაანანას ჰარდზე 10-ათასიანი ტურნირია. იქ მანანა შაფაქიძე ძირითად ბადეში მესამე ნომრადაა განთესილი და პირველ წრეში მასპინძელს, ურეიტინგო ესტერ მაზურს ხვდება.

საკმაოდ ხანგრძლივი შესვენების შემდეგ, კვლავ გამოჩნდება კორტზე სოფო მელიქიშვილი, რომელიც ამერიკის შეერთებულ შტატებში, ლენდსვილის მაგარსაფარზე მიმდინარე 10-ათასიანი ტურნირის ძირითად ბადეში ირიცხება.



სოფო მელიქიშვილი

ბურთს დიდებულად ფოტო

კაცები

განთესვის რეიტინგი

1. როჯერ ფედერერი (შვეიცარია)	6675
2. რაფაელ ნადალი (ესპანეთი)	5585
3. ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერბეთი)	5225
4. ნიკოლაი დავიდენკო (რუსეთი)	3290
5. დავიდ ფერერი (ესპანეთი)	2730
6. ენდი როდიკი (აშშ)	2410
7. დავიდ ნალბანდიანი (არგენტინა)	2115
8. ჯეიმს ბლეიკი (აშშ)	1985
9. რიშარ გასკე (საფრანგეთი)	1630
10. სტანისლას ვავრინკა (შვეიცარია)	1575
11. ენდი მიურეი (ბრიტანეთი)	1480
12. ტომაშ ბერდიხი (ჩეხეთი)	1460
13. ტომი რობრედო (ესპანეთი)	1430
14. ხუან მონაკო (არგენტინა)	1430
15. ჟო-ვილფრედ ცონგა (საფრანგეთი)	1420
16. მიხაილ იუჟნი (რუსეთი)	1410
17. კარლოს მოია (ესპანეთი)	1340
18. მარკოს ბაღდატისი (კვიპროსი)	1335
19. პოლ-ანრი მატიო (საფრანგეთი)	1270
20. ნიკოლას ალმაგრო (ესპანეთი)	1270

საჩემპიონო რბოლა

1. ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერბეთი)	521
2. რაფაელ ნადალი (ესპანეთი)	510
3. როჯერ ფედერერი (შვეიცარია)	360
4. ნიკოლაი დავიდენკო (რუსეთი)	290
5. ენდი როდიკი (აშშ)	213
6. დავიდ ფერერი (ესპანეთი)	204
7. ჟო-ვილფრედ ცონგა (საფრანგეთი)	185
8. ჯეიმს ბლეიკი (აშშ)	182
9. ნიკოლას ალმაგრო (ესპანეთი)	181
10. სტანისლას ვავრინკა (შვეიცარია)	176
11. ენდი მიურეი (ბრიტანეთი)	159
12. დავიდ ნალბანდიანი (არგენტინა)	142
13. რადეკ სტეფანეკი (ჩეხეთი)	130
14. მარდი ფიში (აშშ)	123
15. რობინ სოდერლინგი (შვედეთი)	121
16. მიხაილ იუჟნი (რუსეთი)	119
17. მიშელ ლოდრა (საფრანგეთი)	118
18. ფერნანდო გონსალესი (ჩილე)	111
19. ხუან მონაკო (არგენტინა)	110
20. ხუან კარლოს ფერერო (ესპანეთი)	109

ქალები

განთესვის რეიტინგი

1. მარია შარაპოვა (რუსეთი)	4181
2. ანა ივანოვიჩი (სერბეთი)	3922
3. ელენა იანკოვიჩი (სერბეთი)	3755
4. სვეტლანა კუზნეცოვა (რუსეთი)	3365
5. სერენა უილიამსი (აშშ)	2836
6. ანა ჩაკვეტაძე (რუსეთი)	2731
7. ელენა დემენტიევა (რუსეთი)	2630
8. ვინუს უილიამსი (აშშ)	2626
9. მარიონ ბარტოლი (საფრანგეთი)	2178
10. დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკეთი)	2122
11. პატი შნიდერი (შვეიცარია)	1830
12. ვერა ზვონარიოვა (რუსეთი)	1772
13. აგნეს სუავაი (უნგრეთი)	1682
14. დინარა საფინა (რუსეთი)	1662
15. აგნეშკა რადვანსკა (პოლონეთი)	1533
16. ნიკოლ ვაიდიშოვა (ჩეხეთი)	1435
17. ვიქტორია აზარენკა (ბელარუსი)	1248
18. შაჰარ პირი (ისრაელი)	1215
19. ფრანჩესკა შიავონე (იტალია)	1201
20. ელიზ კორნე (საფრანგეთი)	1160

საჩემპიონო რბოლა

1. მარია შარაპოვა (რუსეთი)	2255
2. ელენა იანკოვიჩი (სერბეთი)	2055
3. სერენა უილიამსი (აშშ)	1675
4. ანა ივანოვიჩი (სერბეთი)	1671
5. ვერა ზვონარიოვა (რუსეთი)	1322
6. სვეტლანა კუზნეცოვა (რუსეთი)	1230
7. ელენა დემენტიევა (რუსეთი)	1186
8. აგნეშკა რადვანსკა (პოლონეთი)	922
9. ელიზ კორნე (საფრანგეთი)	834
10. დინარა საფინა (რუსეთი)	833
11. დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკეთი)	786
12. ანა ჩაკვეტაძე (რუსეთი)	720
13. პატი შნიდერი (შვეიცარია)	693
14. ვინუს უილიამსი (აშშ)	676
15. ვიქტორია აზარენკა (ბელარუსი)	652
16. ლინდსი დევენპორტი (აშშ)	625
17. ნა ლი (ჩინეთი)	565
18. აგნეს სუავაი (უნგრეთი)	557
19. დომინიკა ციბულკოვა (სლოვაკეთი)	549
20. ფლავია პენეტა (იტალია)	546

რაფა მაინც ნერვიულობს...

რაფაელ ნადალმა „როლან გაროსის" კორტებზე 21-დან 21 მატჩი მოიგო, მაგრამ ამის მიუხედავად აცხადებს, რომ პარიზში ჩასვლის წინ მაინც ნერვიულობს. ნადალი ტურნირის უმთავრესი ფავორიტი რომ არის, ეჭვის შეტანაც არ შეიძლება. მართალია, რომში მისი წაფორხილების შემდეგ ალაპარაკდნენ, ეგებ რაფა ფორმაში ვერ იყოსო, მაგრამ ესპანელმა გუშინწინ ჰამბურგის ფინალში როჯერ ფედერერზე შურისძიებით დაამტკიცა, რომ მისი დარი თიხნარზე მაინც არავინ არის. „კალენდარი ზედმეტად გადატვირთულია და ეს საქმეს ართულებს, მაგრამ პარიზს მაინც საუკეთესო ფორმაში ვეწვევი. ახლა არაფერს ვუჩივი და მზადყოფნის დონითაც კმაყოფილი ვარ, თუმც ჯერ ერთი-ორი დღით სახლში ჩავალ და დროს ოჯახთან და მეგობრებთან გავატარებ, რომ ცოტა მოვეშვა და დავწყნარდე".

ბაბა ლომაჯვილი

...ჯოკოვიჩი კი იმუქრება

ნოვაკ ჯოკოვიჩი იმუქრება, თიხნარზე ნადალის მეფობას დავამხობო. ჰამბურგის ნახევარფინალში პირინელთან ტოლ-სწორად თამაშის შემდეგ სერბი დიდ გულზე მოსულა და საკუთარი ძალების რწმენა მომატებია:

„ის ნახევარფინალი საუკეთესი თამაში იყო, რაც კი თიხნარზე მიჩვენებია. ეს იმის დასტურია, რომ ამ საფარზეც ვუმატებ და რახან ნადალთან თანაბრად თამაში შევძელი, უკვე აღარავინ მაშინებს. თავად რაფასთან შემდეგი ჯახისას კი ოდნავ უფრო თუ გამიმართლა, არც მისი წაქცევა მოჩანს შეუძლებლად".

ისე, ნადალისა არ იყოს, ჯოკოვიჩიც ოთხშაბათს გეგმავს პარიზში ჩასვლას.

ბაბა ლომაჯვილი

ჰიუიტი იმედს არ კარგავს

ლეიტონ ჰიუიტს ტრავმა ბოლომდე არ მოურჩენია, მაგრამ მაინც არ კარგავს იმედს, რომ პარიზის კორტებზე გასვლას შეძლებს. ოზს უკვე თვეზე მეტია, არ უთამაშია და ექიმები არც ახლა ურჩევენ აჩქარებას, მაგრამ ლეიტონს ამ დიდი საჩოგბურთო ფორუმის გამოტოვება არ უნდა. „პარიზში მაინც ჩავალ და გეგმის მიხედვით დავიწყებ ვარჯიშს. იმედია, ფეხი ამის საშუალებას მომცემს და ტურნირისთვის მოვასწრებ ნორმალურ კონდიციებში ჩადგომას" — განუცხადა ჟურნალისტებს ჰიუიტმა.

გასკე მწვრთნელს დაშორდა

მიმდინარე სეზონში რიშარ გასკე ძალიან არასტაბილურად გამოდის. შარშან საუკეთესო ათეულში შესულმა ფრანგმა წლეულს მხოლოდ 10 მატჩი მოიგო. თუმც ამაზე უარესი ისაა, რომ უკვე 9-ჯერ მოასწრო წაგება. თანაც ბოლო ორ ტურნირზე — რომისა და ჰამბურგის მასტერსებზე — პირველივე წრეში დაიფრინეს. ჰოდა, ყველაფერი ეს ახალგაზრდა ფრანგმა თავის მწვრთნელ ერიკ დებლიკერს დააბრალა და კარს მომდგარი „როლან გაროსის" წინ დაშორდა კიდეც.

„ჩვენ ისევ მეგობრებად ვრჩებით, მაგრამ დროა, ახალ ეტაპზე გადავიდე" — მოკლედ მოსხიპა გასკემ. ვისაც გიიომ პეირე დაეხმარება, რომელიც კიდევ ერთი ფრანგის — ნიკოლა მაჰუს მწვრთნელი გახლავთ.

ბაბა ლომაჯვილი

ეროსი გაიზარდა...

ვანო ნორაკიძე
და მისი „ეროსი“

ეს ღიაქურანა წმინდა სისხლის ინგლისური საღარი ულაყი ყულარის ცხენსაშენშია დაბადებული და გაზრდილი (მამა — „სპეტაკი“, დედა — „ელსა“). 2 წლიდან თბილისის „ჟოკეიკლუბის“ სპორტულ განყოფილებაშია. სადოღე წრეზე არც გამოსულა; ოღონდ საწვრთნელი სტრატეგიის გამო კი არა — უბრალოდ, აღარც ტარდებოდა ტრადიციული ცხენთგამოცდა. თუმც საკონკურო წაფვაში უკვე აღიარებულია, რომ ამ დარგისთვის შერჩეული ბედაურები, ნერვული სისტემის მოსაფრთხილებლად, დოღით არ დატვირთონ, „ეროსი“ მაინც „თავის გვარზე ხტის“ — ფიცხია, ფეთქებადი, უფრო უარესიც — ცოტა თავღორი. ერთხანს გოგი ჩიქოვანი, ომარ გელაშვილი და გამოცდილი ზურაბ ჭინჭარაძე ავარჯიშებდნენ, შემდეგ კი ჭაბუკი მხედარი ვანო ნორაკიძე შესვეს. ასპარეზზე, 4 წლის ასაკიდან, მხოლოდ მისი მხედრობით გამოსულა. მართალია, ცხენოსნობაში გამართლებული არაა სახარებისეული შეგონება — „ახალი ღვინო — ახალ თხიერში (ტიკში)“: ახალბედა პირუტყვს ძველი მხედარი სჭირდება, მაგრამ საცხენოსნო სპორტის არასასურველი „გაახალგაზრდავება“ ჩვენს სინამდვილეში, კარგა ხანია, დამკვიდრებულია (აქვს ამას თავისი ღრმა სოციალური მიზეზები, რაზეც აქ ახლა ვერ შევჩერდებით), მაგრამ „საქართველოს დავით აღმაშენებლის უნივერსიტეტის“ სტუდენტს სწორედ დოღებში ნერვებაწეწილ „ფლოქვთან“ მუშაობამ საკმაო გამოცდილება შესძინა; მაღალი, ახოვანი ულაყიც მშვენივრად მოერგო მის ფიზიკურ მონაცემებს (ვანო ჩვენთან თანამედროვე კონკურში ტანმაღალი მხედრების მოძალების საერთო ტენდენციის გამომხატველია: სიმაღლე — 195 სმ, წონას კი არ ახარებს — 75 კგ-ს ზევით იშვიათად ასულა. ახლა კი, ბაქოდან დაბრუნებული, 72 კგ-ს იწონიდა)

ამიტომაც გასული ორი წლის განმავლობაში ნორაკიძე-„ეროსის“ წყვილი ახალგაზრდა ცხენების ჯგუფში როგორც საქართველოს, ისე ამიერკავკასიური მასშტაბის ასპარეზობებზე მნიშვნელოვან ძალად იქცა. მაგრამ ცხენის წუთისოფელი მოკლეა: „ეროსი“ უკვე 6 წლის შესრულდა და მორჩა ახალგაზრდული შეღავათები; უკვე ძირითად ცხენებში უნდა იასპარეზოს.

ასეთი დებიუტი კი ამ მაისს ბაქოში ჰქონდათ; აზერბაიჯანის ყოფილი პრეზიდენტის ჰეიდარ ალიევის თასზე. ეს ტურნირი კარგად აქვთ დაცდილი ქართველ მხედრებს: სულაც პირველი გამარჯვებული ზაზა ჩიტრეკაშვილი იყო (2003 წელს). ბაქოში მაშინ ეს პრიზი ახალგაზრდა ცხენებით გაათამაშეს — ასე ერჩივნათ მოსაგებად. ზაზამ თეიმურაზ ბერიშვილის, თბილისში დაბადებული და გამოზრდილი ანგლოლატვიური ფაშატით („ხაფი“) ლამაზი გამარჯვება მოიპოვა. იმავე წლის აგვისტოში იქვე საერთაშორისო ტურნირში გაიმარჯვა „ჟოკეიკლუბის“ მოზარდმა სპორტსმენმა შალვა გაჩეჩილაძემ („სულგანაბული“). ერთი წლის შემდეგ კი ალიევის თასი (ამჯერად ძირითადი ცხენებით) ცოტნე ლაბაშიამ მოიგო („პაგი“) — ორჰიტიანი კონკური, 140 სმ. მაგრამ ბოლო წლებში აზერბაიჯანში, კერძოდ, საცხენოსნო კლუბის „გიუნაის“ თაოსნობით თანამედროვე საკონკურო ბედაურების, აგრეთვე მწვრთნელ-მხედრების (!) უცხოეთიდან შემოყვანამ ძალთა თანაფარდობა აშკარად შეცვალა. ეს განსაკუთრებით ბოლო ორი წლის „კავკასიის თასის“ გათამაშებაზე გამჟღავნდა. თუმცალა, როგორც ადრე შევნიშნავდით, არც ბაქოელთა გეგმა აღმოჩნდა სულ გამართლებული და არც ჩვენი შესაძლებლობებისთვის წყლის გადაწურვა.

ამიტომაც გვინდა ახლანდელი საკონკურო მარაქაში წარმატებული გამოდგა, არა?

— ალბათ, ასე უნდა მივიჩნიოთ. ბაქოში აზერბაიჯანელთა ყველა ის ცხენი გამოდიოდა, რომლებმაც თბილისში „კავკასიის თასზე“ დაგვჯაბნეს — „გრაფი“, „გრომი“, „როდრიგო“ და კიდევ სხვანი. სულ ხუთნი გამოდიოდნენ. ისე, ველოდი, რომ სიმაღლე მეტი იქნებოდა, მაგრამ, ეტყობა, აზერბაიჯანელებსაც სულ აწყობილი ვერა აქვთ საქმე სტაბილურობის შენარჩუნების მხრივ. პირველივე კონკურზე („კასპიის თასი“) შეგვეძლო კარგი შედეგის ჩვენება, მაგრამ „ეროსი“ პირველივე დაბრკოლებაზე შეფრთხა და გაქირზე დადგა. ასეთი დასაწყისი ძალზე ცუდია, მაგრამ შემდეგ სუფთად ვიარეთ: მთელი მარშრუტი და მეხუთე ადგილზე დავრჩით.

„ალიევის თასი“ ორჰიტიანი იყო. „ეროსს“ ადრე სულ ორჯერ ჰქონდა გავლილი ამგვარი (ორცდიანი) კონკური. ორივე ჰიტი უჯარიმოდ იარეს რეზაევმა (ორი ცხენით გამოდიოდა) და საიდ მუსაევმა („როდრიგო“). მეც ლიდერებში გავერიე. დამატებით ხტომებში (7 ნახტომი) სიმაღლე 135 სმ იყო. რეზერვი „გრომით“ მოიხსნა, „გრადით“ კი 2 დაბრკოლება დააზიანა; მუსაევმა სუფთად გაიარა. მე ბოლო გამოვდიოდი და მოსაგებად უფრო სწრაფად უნდა მევლო. ამ სიჩქარეში მეოთხე დაბრკოლება ჩამოვაგდე (მგონი, ყველაზე იოლი) და მეორე ადგილი დავიკავე. 6 წლის ცხენისთვის ცუდი შედეგი არ უნდა იყოს.

ჩვენი გუნდიდან ამ ასპარეზობაზე სხვებზე უკეთესად გაგა თოხაძე გამოვიდა („სულგრძელი“). იგი ტურნირის უმრწემესი მონაწილე იყო; მან ორ აზერბაიჯანელ მხედარსაც აჯობა. მუყაითი, ჩუმი, სპორტული ჟინით დამუხტული ჭაბუკის წარმატება, გელა მასწავლებელთან ერთად, მთელ გუნდს გვახარებს. ჩვენი უფროსი თანაგუნდელი როინ მარგიანი, ჩემი აზრით, ტურნირის გამორჩეული მხედარი იყო, მაგრამ ცხენები („ზეცა“, „ხედი“) ვერ იყვნენ ფორმაში. შეიძლება მგზავრობამაც, ადაპტაციისთვის მცირე დრომაც იმოქმედა. ვერც შალვა გაჩეჩილაძემ და „ასპარეზმა“ გამოავლინეს თავიანთი შესაძლებლობები.

— ვანო, ბევრი მხედრისგან განსხვავებით, თქვენ სპორტული ვარჯიში თავიდანვე ცხენოსნობით არ დაგიწყიათ...

— ჩოგბურთით დავიწყე, ვერაზე. მარლენ ქობალია იყო ჩემი პირველი სპორტული მწვრთნელი. ერთი წელი ვიარე, მაგრამ ბევრი რამ ვისწავლე. მერე ავად გავხდი. ჩოგბურთში კი გაცდენა და ჩამორჩენა ერთია. ფეხბურთზეც დავდიოდი, „ნორჩ დინამოელში“. იქ თამაზ კოსტავა და თენგიზ კაცია მწვრთნიდნენ. მოკლედ, ამ მხრივ ბედმა გამიღიმა. ახლა მთლიანად ცხენოსნობაზე ვარ გადართული, მაგრამ იმ ზრუნვასა და ზიყვარულს, რომელიც პატარაობისას კორტსა და ფეხბურთის მოედანზე ვნახე, ვერასოდეს დავივიწყებ. ყველა სპორტსმენი, თუნდაც მწვრთნელობას არ გაჰყვეს, პოტენციურად მაინც აღმზრდელია, თუ უშუალოდ მოსწავლეების არა, უმცროსი პარტნიორების მიმართ.

ცხენებზე 11 წლისა მივედი დელისის იპოდრომზე. ძალიან მეშინოდა, ამიტომაც გაქირავების პუნქტში ერთი პონი ჰყავდათ, უფრო იმას დავუახლოვდი. მწვრთნელმა გელა ტატანაშვილმა შემამჩნია, არ დამიკარგა მონდომება და სიყვარული . თანდათან მიმაჩვია ნამდვილ ცხენებს და, როგორც ხედავთ, ახლა ამ ონავარი ულაყის მხედარი ვარ. შარშან რუსეთიდან საკონკურო ბედაურები რომ ჩამოიყვანა „ჟოკეიკლუბმა“, 9 წლის უდიონური ულაყი მეც მარგუნეს. აი, ამ ცხენთან კი კვლავ მოსწავლედ ვგრძნობ თავს. 150 სმ-იანი კონკურები აქვს წარმატებით გავლილი!

— თქვენ უკვე დიპლომიანი იურისტი ხართ. გელა მასწავლებლისგან ვიცი, რომ კარგად სწავლობდით. როგორ აპირებთ მომავალში საქმიანობის გაგრძელებას?

— ჯერჯერობით მხოლოდ პროფესიონალ ცხენოსნობაზე ვფიქრობ. აქ იმდენი რამაა ასათვისებელი, რომ გვერდით გახედვის დრო არ გვრჩება. სანამ ოჯახს მოვეკიდები, აქაური ხელფასიც მყოფნის, ჯიბის ფულად, რა თქმა უნდა. თუმცა ყველა ახალგაზრდას ერთნაირი პირობები ხომ არ აქვს?! ცხენის მიტოვება კი ყველას ემძიმება. ღმერთმა ქნას, ქართველმა პროფესიონალმა მხედრებმაც შეძლონ თავიანთი შრომით ოჯახის რჩენა.

ჩემს იურისტობასაც არ ვივიწყებ. კითხვის დრო ყველა სპორტსმენმა შეიძლება გამონახოს. ახლა, ჩემს ასაკში, ნამდვილად გამიჭირდებოდა სხვა ადამიანების ბედის გადაწყვეტა. ამას დიდი პროფესიული და ცხოვრებისეული გამოცდილება სჭირდება. უფრო ქართული სამართლის ისტორიით ვარ გატაცებული. როცა დრო მაქვს, ქართული სამართლის ძეგლების კითხვა მიყვარს. ჩემთვის უაღრესად საგულისხმოა, რომ ამ დოკუმენტებში ცხოველებთან, შინაურ პირუტყვთან ადამიანის დამოკიდებულება, უფლება-მოვალეობებიც არის ასახული. ძალიან გამიხარდა, რომ ჩვენთან ეს ურთიერთობა შუა საუკუნეებშიც ჰუმანურობით ყოფილა გამორჩეული. ასე რომ, „ეროსის“ და ახალი მხტომელის „დარის“ მიმართ თურმე მემკვიდრეობითი მოვალეობაც კი მაკისრია.

ნოდარ ებრალიძე

რუსული გვალვა კანადაში დასრულდა

რუსეთმა 15-წლიანი შესვენების შემდეგ შეძლო მსოფლიოს უძლიერესი ნაკრების ტიტულის მოპოვება. ყველაზე ტიტულიან გუნდს 1993 წელს გერმანიაში ტრიუმფის შემდეგ არ გაესინჯა ოქროს გემო, მაგრამ სლავებმა გუშინწინ გვიან ღამით შეძლეს ამ გვალვის შეწყვეტა. რუსთათვის ეს გამარჯვება ერთიორად ტკბილი კიდევ იმიტომ არის, რომ მათ თავიანთ ისტორიულ მეტოქეს მისსავე ყინულზე და გულშემატკივრების წინ გამოუყვანეს წირვა.

საერთაშორისო ჰოკეის ფედერაციის 100 წლისთავზე მართლაც ზღაპრული ფინალი გაიმართა — ერთმანეთს ხომ ჰოკეის ორი უდიდესი სკოლის წარმომადგენლები დაეჯახნენ. კანადა-სსრკ-ს შორის ყოველთვის არნახული სანახაობა იდგმებოდა. თუმც საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ამ „ცივმა ომმა“ თავისი მნიშვნელობა დაკარგა, რადგანაც რუსებმა პოზიციები დათმეს — ბოლო ტიტული, რომელიც კანადა-რუსეთმა ერთმანეთში გაითამაშეს, 1992 წლის ალბერვილის ოლიმპიადის ოქრო იყო.

და აგერ, კვებეკში ორ დიდ ნაკრებს შორის მორიგი ფინალი გაიმართა, რომელმაც ყველა მოლოდინი გაამართლა — ამ მატჩს არც დაძაბულობა აკლდა, არც ულამაზესი კომბინაციები და არც ჰოკეისტთა თავგანწირული თამაში.

თავიდან რუსებმა უკეთ დაიწყეს და ვაშინგტონელმა ალექსანდრ სიომინმა დააწინაურა კიდეც სტუმრები, თუმც კანადელებმა შალევე მოუნახეს გასაღები ჩემპიონატის საუკეთესო მეკარედ აღიარებულ ევგენი ნაბოკოვის კარს — ორჯერ მცველმა ბრეტ ბერნსმა გამოიჩინა თავი, ერთხელაც „ანაჰიმელმა“ კრის კუნიცმა იყოჩაღა.

თანაბარი გამოდგა მეორე პერიოდი, რომელშიც მეტოქეებმა გოლები გაცვალეს — რუსთაგან ისევ სიომინმა გამოიდო თავი, კანადელებს კი ორშაიბიანი ფორა დენი ჰიტლიმ დაუბრუნა.

მესამე პერიოდმა მთლიანად რუსთა უპირატესობით ჩაიარა. კანადელებმა ანგრიშის შენარჩუნებაზე დაიწყეს თამაში, რაც აშკარა შეცდომა გამოდგა — მასპინძლებმა თავიანთი გამოცდილი და ნჰლ-ში ყველაფრის მნახველ მწვრთნელ კენ ჰიჩკოკის თაოსნობით რატომღაც ვერ იაზრეს, რომ ალექსანდერ ოვეჩკინისა და ილია კოვალჩუკის დარი სუპერვარსკვლავებისთვის სივრცის მიცემა ცეცხლთან თამაში იყო. ჰოდა, მასპინძლები დაისაჯნენ კიდეც.

მატჩის გმირად კი სწორედ კოვალჩუკი იქცა, თუმც... სანამ სცენაზე ეს სნაიპერი გავიდოდა, მანამდე უფის „სალავატ იულაევის“ ცენტრმა ალექსანდრ ტერეშჩენკომ ანგარიშში სხვაობა მინიმუმადე შეამცირა, როცა ოვეჩკინის გამოზომილი პასით ისარგებლა.

ამის შემდეგ კი კოვალჩუკმა გამოიდო თავი. მან ჯერ ანგარიში გაათანაბრა (სხვათა შორის, მისი პირველი გოლი იყო ჩემპიონატზე) და თამაში ოვერტაიმში გადაიყვანა. აქ მესამე წუთზე რიკ ნეშმა უაზრო ჯარიმა „აიკიდა“ და კოვალჩუკმაც საოქროვედ გაისროლა.

ეს მარცხი ნამდვილი ტრაგედია გახლდათ „კვებეკ კოლიზეუმში“ შეკრებილი 13 000 კანადელისთვის, რომელთაგან უმრავლესობა ცრემლებით ტოვებდა დარბაზს ატირებას ცოტაღა უკლდა კანადის პრემიერ-მინისტრსაც — ქვეყანაში, სადაც ჰოკეი რელიგია უფროა, ვიდრე მხოლოდ სპორტი, ეს ალიყური კარგა ხანს ემახსოვრებათ.

ბოლოს კი ჩემპიონატზე თავგამოჩენილ ჰოკეისტებზე ვთქვათ ერთიორი სიტყვა.

საუკეთესო ბომბარდირად ჰიტლი იქცა 20 ქულით (12+8). მასვე მიანიჭეს ჩემპიონატის უძვირფასესი მოთამაშის ტიტული. „ოტავას“ 27 წლის ფორვარდი პირველი ჰოკეისტია, რომელმაც მეორედ მოიპოვა მსოფლიოს, ჩემპიონატის უძვირფასესი ჰოკეისტის ტიტული (პირველად 4 წლის წინ პრაღაში დაასახელეს). საუკეთესო მცველის ტიტული ისევ კანადელს, ფინალში დუბლის გამკეთებელ ბერნსს ერგო. საუკეთესო მეკარედ კი, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, ნაბოკოვი დაასახელეს.

ჩემპიონატის სიმბოლური ნაკრები კი ასე გამოიყურება:

მეკარე: ნაბოკოვი

მცველები: მაიკ გრინი (კანადა), ტომაშ კაბერლე (ჩეხეთი)

თავდასხმელები: ჰიტლი, ოვეჩკინი, ნეში

კახა ლომაშვილი

ჰოკეი ოფი ნახევარფინალი

STANLEY CUP 2008

აღმოსავლეთი

პიტსბურგი 6:0 ფილადელფია

2:0 3:0 1:0

სერია პიტსბურგმა მოიგო 4:1

1:0 მელოუნი (3, უმრ. კროსბი, ჰოსა), 2:0 მალკინი (10, მელოუნი), 3:0 ჰოსა (29, კროსბი, ტელბოტი), 4:0 მელოუნი (32, უმრ. გონჩარი, ჰოსა), 5:0 სტაალი (40, ტელბოტი, ჰოლი), 6:0 დიუპუი (45, ჰოსა, ორპიკი)

დანიელე ბენატიმ მეორე გამარჯვება მოიპოვა

დროებითი ვისკონტი

რიგით 91-ე „ჯირო დიტალიას“ ქარავანმა გასავლელი გზის მესამედი მოილია და გუშინ პირველი გეგმიური დასვენების დღე მიიღო.

შეიძლება ითქვას, რომ რაც აქამდე იყო, უბრალოდ, პრელუდია გახლდათ და მთავარი ახლა იწყება — დაყოფილი სტარტით ინდივიდუალური რბოლები და სამთო ეტაპები.

დღეს დაგეგმილი სამიდან პირველი ინდივიდუალური რბოლაა — ველოსიპედისტები პეზაროდან ურბანომდე 35,4 კილომეტრს გაივლიან და ამ გზის შემდეგ გარკვეულწილად მოხდება ფავორიტთა რიგების დაწმენდა.

ჯერჯერობით, ლიდერის ვარდისფერი მაისურა იტალიელ ჯოვანი ვისკონტის აცვია, ვისაც, გერმანელ მატიას რუსს თუ არ ჩავთვლით, დანარჩენები საგრძნობლად ჩამორჩებიან, მაგრამ ყველამ კარგად იცის, რომ ვისკონტი „ჯიროს“ დროებითი მთავარია და პირველივე სერიოზულ მთებში ავანსცენაზე სხვები გამოვლენ.

მანამ კი, სანამ მთები დაწყებულა, „ჯიროს“ ქომაგები სპრინტერული საქმის გარჩევებით ერთობიან და მე-9 ეტაპზე, რომელიც ჩივიტავეკიადან სან ვინჩენცომდე 218 კილომეტრზე იყო გაჭიმული, მათ გვარიანი სპრინტერული ომი იხილეს ისეთი დიდებული ფინიშიორების მონაწილეობით, როგორებიც დანიელე ბენატი, პაოლო ბეტინი, რობი მაკივენი და ერიკ ცაბელი არიან. ამ ომში თითქოს ბეტინი იყო ყველაზე სწრაფი, მაგრამ ჯგუფურ რბოლაში მსოფლიოს ჩემპიონს სულ ბოლო მომენტში მეორე იტალიელმა, ბენატიმ აჯობა და მიმდინარე „ჯიროზე“ მეორე გამარჯვება მიითვალა.

91-ე ჯიროს დიტალია. 10 მაისი — 1 ივნისი

IX ეტაპი

ჩივიტავეკია — სან ვინჩენცო. 218 კმ

1. დანიელე ბენატი (იტალია, „ლიქუიგასი“)	5 სთ 30 წთ 06 წმ
2. პაოლო ბეტინი (იტალია, „ქვიკ სტეპი“)	
3. რობი მაკივენი (ავსტრალია, „ლოტო“)	
4. ერიკ ცაბელი (გერმანია, „მილრამი“)	
5. კოლდო ფერნანდესი (ესპანეთი, „ეუსკალტელი“)	ყველას იგივე დრო

საერთო ჩათვლა

1. ჯოვანი ვისკონტი (იტალია, „ქვიკ სტეპი“)	42 სთ 14 წთ 16 წმ
2. მატიას რუსი (გერმანია, „გეროლშტაინერი“)	+34 წმ
3. გაბრიელ ბოსისიო (იტალია, LPR)	+5 წთ 53 წმ
4. დანილო დი ლუკა (იტალია, LPR)	+7.27
5. ემანუელ სელა (იტალია, CSF)	+7.32

M-TEL მასტერსი

სოფია. ბულგარეთი. 7-18 მაისი

X ტური

ვესელინ ტოპალოვი (ბულგარეთი)	0,5:0,5	თეიმურ რაჯაბოვი (აზერბაიჯანი)
ლევონ არონიანი (სომხეთი)	0,5:0,5	ბუ ქსიანცეი (ჩინეთი)
ივან ჩეპარინოვი (ბულგარეთი)	0:1	ვასილ ივანჩუკი (უკრაინა)

1. ვასილ ივანჩუკი	8
2. ვესელინ ტოპალოვი	6,5
3. თეიმურ რაჯაბოვი	5,5
4. ივან ჩეპარინოვი	4
5. ბუ ქსიანცეი	3
6. ლევონ არონიანი	3

ივანჩუკმა ტოპალოვს მასტერსი წაართვა

ვასილ ივანჩუკმა M-TEL მასტერსის მეოთხე გათამაშება მოიგო. 10 პარტიიდან უკრაინელმა დიდოსტატმა ექვსში იმარჯვა, ოთხი ყაიმით დაასრულა და მთავარკონკურენტ ვესელინ ტოპალოვს 1,5 ქულით აჯობა. წინა სამი შეჯიბრი ტოპალოვს ჰქონდა მოგებული, მაგრამ წლეულს მან სუსტად ითამაშა და თასიც უკრაინელს გაატანა.

ბოლო ტურში გასარკვევი მხოლოდ აუტსაიდერის ვინაობა იყო და ეს პატივი ლევონ არონიანს ხვდა წილად. სომეხი მოჭადრაკე რეიტინგით მეორე იყო ტურნირზე და მისგან ბევრს მოელოდნენ, თუმც მან ყველა შეხვედრა საშინლად ჩაატარა, ვერც ერთი პარტია ვერ მოიგო და 3 ქულით მეექვსე ადგილს დასჯერდა.

ამ გამარჯვებით ივანჩუკმა სოლიდური თანხა ჩაჯიბა და ფიდეს რეიტინგშიც წინ წაიწევს.

ლაშა გეგეჭკორი

Formula 1

რუბრიკას წარმოგიდგენთ Mobil 1

№ 1 საავტომობილო ზეთი

სარდინიის მტვრიან გზებზე ყველაზე სწრაფი სებასტიენ ლოების „სიტროენი“ იყო

ლოების მე-40 ტრიუმფი

მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონის, ფრანგი სებასტიენ ლოების სეზონში მეოთხე, კარიერაში კი საიუბილეო, მე-40 გამარჯვებით დასრულდა კლასიკურ რალიში წლევანდელი მსოფლიოს ჩემპიონატის მე-6 ეტაპი, რომელსაც იტალიის კუნძულმა სარდინიამ უმასპინძლა.

სარდინიული რალი 2004 წლიდანაა მსოფლიოს ჩემპიონატების კალენდარში. 2004 წელს იქ პეტერ სოლბერგმა იმარჯვა, შარშან — მარკუს გრონჰოლმმა, ხოლო 2005-06 წლებში ლოები იყო საუკეთესო და აი, მან მესამედ მოიგო ეს რალი.

სულ პირველ სპეცმონაკვეთზე საუკეთესო დრო „ფორდის“ ფინელმა მრბოლმა იარი-მარი ლატვალამ აჩვენა და ლიდერობა იგდო ხელთ, მაგრამ ეს იყო და ეს — მეორე და მესამე დოპებზე ლოებს ბადალი არ ჰყავდა და ამის შემდეგ, პირველ ადგილზე რომ აღზევდა, ახლო აღარავინ გაიკარა.

არადა, 17 სპეცმონაკვეთიდან ლოებმა მხოლოდ 4 მოიგო, მაშინ, როდესაც ლატვალამ ათჯერ იპირველა, მაგრამ ამით ფრანგის ლიდერობას საფრთხე არ შექმნია. ერთადერთი, ბოლოსკენ გაუჭირდა ჩემპიონს — დასკვნითი დღის წინ ის 25 წამს უგებდა გენერალური კლასიფიკაციის მოწინავეს, ლატვალას თანაგუნდელ-თანამემამულე მიკო ჰირვონენს და ბოლო დოპებზე ფინელმა ჩამორჩენა 10 წამამდე დაიყვანა, თუმც მეტი ვეღარ შეძლო.

„აქ მოგება ძალიან მნიშვნელოვანი იყო, რადგანაც მიკო ჩემპიონატის ლიდერია და მისი უფრო წინ გაშვება არაფრის დიდებით არ შეიძლებოდა. ძალიან მძიმე და დამღლელი რალი გამოვიდა. ჩვენ მუდმივად წინ ვიყავით და ამიტომ პირველნი გავდიოდით ტრასაზე, გზას ვასუფთავებდით და უკან მავალებს საქმეს ვუიოლებდით. ამიტომაც იყო, უპირატესობამ დნობა რომ დაიწყო, მაგრამ მთავარია, რომ მოვიგეთ“ — განაცხადა გამარჯვების შემდეგ ლოებმა, ვინც საერთო ჩათვლაში სამი ქულითღა ჩამორჩება ჰირვონენს.

არადა, წლევანდელი ექვსი რალიდან ლოებმა ოთხი მოიგო, ჰირვონენმა კი მხოლოდ ერთი, მაგრამ ფინელმა ჩასათვლელი ქულები ყველა ეტაპზე აიღო, როდესაც ფრანგი ორჯერ უქულოდ დარჩა და ამიტომაც ჩამორჩება საერთო ჩათვლაში.

გენერალურ კლასიფიკაციაში მესამე ადგილზე ავსტრალიელი კრის ატკინსონია, ვინც ჰირვონენის არ იყოს, ყველა ეტაპზე აგროვებს ქულებს.

შემდეგი, მე-7 ეტაპი, ბერძნული „აკროპოლისის რალი“ ამ თვის ბოლოს გაიმართება.

ბახა ლომაძე

მსოფლიოს ჩემპიონატი რალიში

WRC WORLD RALLY CHAMPIONSHIP

VI ეტაპი. სარდინიის რალი. ოლბია იტალია.16-18 მაისი

რბოლის შედეგები

1. სებასტიენ ლოები (საფრანგეთი, „სიტროენი“) ------3 სთ 57 წთ 17,2 წმ
2. მიკო ჰირვონენი (ფინეთი, „ფორდი“)---------- +10,6 წმ
3. იარი-მატი ლატვალა (ფინეთი, „ფორდი“) ---------- +15,3
4. ჯიჯი გალი (იტალია, „ფორდ სტობარტი“) ---------- +1.42,5
5. დანიელ სორდო (ესპანეთი, „სიტროენი“) ---------- +2.05,6
6. კრის ატკინსონი (ავსტრალია, „სუბარუ“)----------+5.08,6
7. ჰენინგ სოლბერგი (ნორვეგია, „ფორდ მუნჩი“)----------+6.01,0
8. პიერ გუნარ ანდერსონი (შვედეთი, „სუძუკი“)---------- +7.48,7

საერთო ჩათვლა

1. ჰირვონენი 43 ქულა; 2. ლოები 40; 3. ატკინსონი 31; 4. ლატვალა 24; 5. სორდო 21; 6. გალი 17; 7. ჰ. სოლბერგი 11; 8. პეტერ სოლბერგი (ნორვეგია, „სუბარუ“) 9; 9. ფედერიკო ვილაგრა (არგენტინა, „ფორდ მუნჩი“) 8; 10. მეტიუ უილსონი (ბრიტანეთი, „ფორდ სტობარტი“) 7

კონსტრუქტორთა თასი

1. ფორდი 71 ქულა; 2. სიტროენი 64; 3. სუბარუ 43; 4. ფორდ სტობარტი 36; 5. ფორდ მუნჩი 14; 6. სუძუკი 6

ძველი დოქტორი როსი ისევ თავშია

ვალენტინო როსიმ ორი კვირის წინ, ჩინეთში მოპოვებული გამარჯვების შემდეგ, საფრანგეთშიც იმარჯვა, ანუ ზედიზედ ორი ეტაპი მოიგო და „მოტოჯიპის“ კლასში მსოფლიოს ჩემპიონატის გენერალურ კლასიფიკაციას სათავეში ჩაუდგა. ანუ, როსი ისევ ის ძველი „დოქტორია“, მიყოლებით ყველას რომ ამარცხებდა და მხოლოდ ჩემპიონობისთვის იბრძოდა.

შარშანდელი წარუმატებელი სეზონის შემდეგ ბევრმა როსიზე ხელი ჩაიქნია, მაგრამ თავად 29 წლის იტალიელი სხვანაირად ფიქრობდა და ახლა მას, უკვე ძველებურად, მთავარ ფავორიტად მიიჩნევენ.

ლე მანის ავტოდრომზე მოპოვებული გამარჯვება 90-ე იყო როსის სარბოლო კარიერაში (იგულისხმება ყველა კლასის მოტოებით მოგებული ეტაპები) და ამ მაჩვენებლით „დოქტორი“ მოტოსპორტის ლეგენდას, ანხელ ნიეტოს გაუტოლდა.

არადა, საფრანგეთში როსიმ კვალიფიკაციაზე მხოლოდ მეოთხე შედეგი აჩვენა. პოული ესპანელმა დანი პედროსამ მოიგო, მეორე შედეგი ამერიკელ კოლინ ედვარდსს ჰქონდა, ხოლო მესამე მსოფლიოს მოქმედი ჩემპიონი, ავსტრალიელი კეისი სტოუნერი იყო.

სტოუნერს რბოლა ჩაუვარდა და საერთოდ უქულოდ დარჩა. ვეღარც პედროსამ ივარგა და წლეულს პირველად, რბოლა პოდიუმს მიღმა დაასრულა. როსიმ კი თავიდანვე რომ გაუბერა, ტემპი აღარ დაადგდო და კომფორტული, ხუთწამიანი უპირატესობით უწია ფინიშს.

მეორე ესპანელი ხორხე ლორენკო იყო და ეს ნამდვილად გმირობის ტოლფასია, რადგანაც წინა, ჩინურ ეტაპზე მან ორივე ფეხზე სერიოზული დაზიანებები მიიღო და იმასაც კი ფიქრობდნენ, ფრანგულ რბოლას საერთოდ გამოტოვებსო.

„საშუალო“, 250-იანთა კლასში ესპანელმა ალექს დებონმა აჯობა იტალიელებს, მარკო სიმონჩელისა და მატია პაზინის, ხოლო „უმცროსი“, 125-იანთა კლასის შეჯიბრი წვიმის გამო თითქმის ხუთჯერ შეიკვეცა — მოტომხედრებმა 24 წრის ნაცვლად ოდენ ხუთი გაიარეს და ამ შემოკლებულ რბოლაში იტალიელმა მაიკ დი მეჯიომ აჯობა ყველას.

ბახა ლომაძე

ლემანში მოტომხედრებს ლამაზი ქომაგები არ აკლდათ

მსოფლიოს ჩემპიონატი საგზატკეცილო-წრიულ მოტორბოლაში. V ეტაპი. საფრანგეთის დიდი პრიზი. ლე მანი. 18 მაისი

მოტო GP (28 წრე)

1. ვალენტინო როსი (იტალია, „იამაჰა“)	44 წთ 30,799 წმ
2. ხორხე ლორენცო (ესპანეთი, „იამაჰა“)	44.35,796
3. კოლინ ედვარდსი (აშშ, „იამაჰა“)	44.37,604
4. დანიელ პედროსა (ესპანეთი, „ჰონდა“)	44.40,956
5. კრის ვერმიულენი (ავსტრალია, „სუძუკი“)	44.52,561

საერთო ჩათვლა: 1. როსი 97 ქულა; 2. პედროსა 94; 3. ლორენცო 94; 4. კეისი სტოუნერი (ავსტრალია, „დუკატი“) 56; 5. ედვარდსი 47

250 კბ/სმ (26 წრე)

1. ალექს დებონი (ესპანეთი, „აპრილია“)	47 წთ 27,406 წმ
2. მარკო სიმონჩელი (იტალია, „გილერა“)	47.32,222
3. მატია პაზინი (იტალია, „აპრილია“)	47.32,404
4. იუკი ტაკაჰაში (იაპონია, „ჰონდა“)	47.33,176
5. მიკა კალიო (ფინეთი, KTM)	47.33,603

საერთო ჩათვლა: 1. კალიო 93 ქულა; 2. პაზინი 77; 3. დებონი 59; 4. ტაკაჰაში 59; 5. ჰიროში აოიამა (იაპონია, KTM) 53

125 კბ/სმ (5 წრე)

1. მაიკ დი მეჯიო (იტალია, „დერბი“)	10 წთ 08,046 წმ
2. ბრედლი სმითი (ბრიტანეთი, „აპრილია“)	10.09,374
3. ნიკოლას ტეროლი (ესპანეთი, „აპრილია“)	10.11,651
4. პოლ ესპარგარო (ესპანეთი, „დერბი“)	10.18,981
5. ანდრეა იანონე (იტალია, „აპრილია“)	10.20,271

საერთო ჩათვლა: 1. დი მეჯიო 74 ქულა; 2. ტეროლი 66; 3. სიმონე კორსი (იტალია, „აპრილია“) 62; 4. ხუან ოლივე (ესპანეთი, „დერბი“) 58; 5. შტეფან ბრადლი (გერმანია, „აპრილია“) 58

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი გიორგი დარჯანია
მთავარი რედაქტორის მოადგილე კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი ზვიად მოსიაშვილი
ქართული ფეხბურთის რედაქცია: კობა ინასარიძე, ნუგზარ ლოლაძე, ილია ნანობაშვილი, მიხეილ ყორეოლიანი
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ვიაჩესლავ გასპაროვი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიორგი აბვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ვლადიმერ ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: თამაზ მიგრიაული, ირაკლი პერტაია, გრიგოლ სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლიანა ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, თამარ ქინქლაძე

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge